ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

30 იანვრიდან!
ახალ თაობასთან“ ერთად
ქართული დეტექტივი
შავი ვარდი
აფცბ უფპტსსფყ ტჰსფლ № კფჰბ




ორშაბათი, 2 თებერვალი, 2015 125 (6645) აფცბ5 №) სტსჰბ

# ჯამბულ გამცემლიძე: ჩვენი შვილები მხოლოდ ნაციონალების გასანეიტრალებლად ახსენდებათ!“



გვ.4

„იური ვაზაგაშვილი სამართლის ძიების პროცესში დაიღუპა. ყველამ ვნახეთ, როგორ დადიოდნენ პოლიტიკოსები მის პანაშვიდზე. მათი მხრიდან სამძიმარზე მოსვლა ვერაფრით ვერ გაამართლებს მათ წინა ქმედებებს, რადგან სიცოცხლეში ის მარტო დარჩა ამ უთანასწორო ბრძოლაში. და არა მარტო იური, ყველა ასე ვართ, მაგრამ, არა უშავს, ღმერთი ჩვენთანაა და სიმართლე გაირკვევა!“



რა პირობა მიიღეს შვილმოკლულმა მშობლებმა მთავარი პროკურორისგან



გვ.2

## სოსო ცინცაძე: ივანიშვილმა ღარიბაშვილს განაჩენი გამოუტანა“



გვ.4

## ემზარ კვიციანი: კოდორის ხეობა 15-მა აფხაზმა აიღო“

ყოფილ რწმუნებულს მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეაქვს

## მანანა ნაჭყებია: ივანიშვილს მართლა ჰგონია, რომ ხალხი კარგად ცხოვრობს!“

გვ.6

ISSN 1987-9385
9 771987 938006





გვ.3

## რუსუდან შარაძე: გურამ შარაძე ორმა სპეცრაზმელმა მოკლა“

## კახა ძაგანია: ხელისუფლება ვერ ხვდება, სააკაშვილი რამხელა საფრთხეა!“

გვ.5



# სოსო ცინცაძე: ივანიშვილმა ღარიბაშვილს განაჩენი გამოუტანა“

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძესთან

***— ბატონო სოსო, ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ პრემიერი ღარიბაშვილი ივანიშვილის ფავორიტთა რიგებში არ არის და შეიძლება ის ცოტა ხანში შეცვალოს. რამდენად მოსალოდნელია პრემიერის ცვლილება?***

— არაფერი გამორიცხული არ არის. თუმცა, ივანიშვილი რთულ მდგომარეობაშია, რადგან ის ირაკლი ღარიბაშვილზე ამბობდა, ის ჩემზე კარგი პრემიერი გამოდგაო. ამ ფონზე რომ მოხსნას, რიკოშეტით დაუბრუნდება მას მისი სიტყვები. გამოდის, რომ ბიძინა ივანიშვილი ცდება, როდესაც კადრებს არჩევს, მაგალითად, ვერ შეარჩია და შეცდა მარგველაშვილში, ალასანიაში, ახლა კბილებით იცავს დავით ნარმანიას, მაგრამ სკამი გამოაცალა, როდესაც თქვა, თბილისურად ვერ აზროვნებსო. ნარმანია შეიძლება რომელიღაც პროვინციის მერად გამოდგეს და არა — თბილისის მერად. თბილისში სხვა ინტელექტი და სხვა ფასეულობებია.

***— ივანიშვილმა ნარმანიას არა ინტელექტი, არამედ ინერტულობა დაუწუნა...***

— ინერტულობა ერთია, რაც რეალობაა. ისევ ივანიშვილის მიდგომებს რომ დავუბრუნდეთ, ხშირად ბიძინა ივანიშვილი თავის განცხადებებში საკუთარ თავს ეწინააღმდეგება. ნარმანიაზე მინდა ვთქვა, რა დროს ინერტულობაა. გზები არ არის, ირგვლივ სიბინძურეა, ქუჩებში მაწანწალა ძაღლებითაა სავსე, საცობებიდან ვერ გასულხარ ადამიანი. ცოტა ხნის წინ ტროტუარებზე მანქანების გაჩერება აკრძალეს, მაგრამ ერთ დღესაც ვერ გაძლო ამ წესმა. შეუძლებელია, რომ აკრძალო და ალტერნატივა არ შესთავაზო. პარკინგის სისტემა უნდა გამართონ, ავტოსადგომები უნდა ააშენონ. მხოლოდ აკრძალვა კომუნისტური მეთოდიც კი აღარ არის. უამრავი სამუშაოა, დრო არ ითმენს და რა დროს ინერტულობაა.

***— მინისტრთა კაბინეტის ცვლილება არის მოსალოდნელი?***

— თუ სოციალური ფონი გამწვავდა, მაშინ მოსაძებნი იქნება განტევების ვაცი. განტევების ვაცები კი მინისტრები არიან. პარლამენტარებს ვერ შეცვლის, ამდენად მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხი გარდაუვალია.

***— ბიძინა ივანიშვილმა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც არ გამორიცხა, თუ მისი აუცილებლობა იქნება. რა შემთხვევაში შეიძლება ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს?***

— ვადამდელ არჩევნებზე ჯერ ყოყმანობს ივანიშვილი. ამბობს, რომ ვადამდელი არჩევნები ცუდიაო, მაგრამ იქვე ამბობს, რომ არ გამოვრიცხავო.

***— ეს რაზე მიანიშნებს?***

— იმაზე, რომ მას სათადარიგო ვარიანტად აქვს გადანახული ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. სააკაშვილი ხელისუფლებაში მოსვლიდან დაახლოებით 3-4 წლის მერე აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, რომ მისი ხელისუფლების მთავარ პრიორიტეტად იქცა ხელისუფლების შენარჩუნება ნებისმიერ ფასად. „ქართული ოცნება“ წელიწად-ნახევრის თავზე აღმოჩნდა ამ აუცილებლობის წინაშე. თუმცა, ეს ყოვლისმომცველ რეალობამდე ჯერ არ მისულა, როგორც იყო სააკაშვილის დროს, როდესაც ყველაფრის ფასად ხდებოდა, მაგალითად, ბიუჯეტის შევსება და ა.შ. ჯერჯერობით ბიუჯეტის შევსების მთავარი წყარო საგარეო ვალებია. როდესაც ხელისუფლება იწყებს ფიქრს, რომ მხოლოდ შეინარჩუნოს ის, რაც აქვს, ეს ძალიან ცუდია. ხელისუფლება შექმნაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

***— რატომ უჭირს ბიძინა ივანიშვილს მთავრობის კრიტიკა, ის ამბობს, რომ გააკრიტიკებს, მოქმედ მინისტრებზე ჟურნალისტურ გამოძიებას აწარმოებს...***

— ივანიშვილი ვერ გააკრიტიკებს ამ მთავრობას, ის ვერ იტყვის, რომ ეს მთავრობა არვარგა. თუმცა, მან ირაკლი ღარიბაშვილს პოლიტიკურად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, როდესაც თქვა, ნათესავებს გადაჰყვა და მე არ დამიჯერაო. საინტერესოა თავად ბიძინა ივანიშვილის განცხადება: მე ღარიბაშვილს ვაფრთხილებდი, რომ ნათესავები პრობლემად გექცევაო. როგორ დავიჯერო, რომ ღარიბაშვილი ისე ნიშნავდა თავის ნათესავებს მაღალ პოსტებზე, რომ მას ივანიშვილისგან თანხმობა არ ჰქონდა? ეს ცოტა რთული დასაჯერებელია. ამ საკითხში მე, როგორც ჩვენი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა, ურწმუნო თომა ვარ. არ შეიძლება ქვეყნის ლიდერი საკადრო პოლიტიკაში ფეოდალივით იქცეოდეს და ის კარგი მენეჯერი იყოს. პროფესიონალიზმის საკითხი დგება. შეუძლებელია, მაგალითად, ფინანსთა მინისტრად სანტექნიკოსი დანიშნო. თუ ამ პრინციპით მუშაობდა ღარიბაშვილი, მაშინ ის დღესვე მოსახსნელია. მოსახლეობის 99 პროცენტს ლარის კურსი და ეკონომიკური მდგომარეობა აწუხებს. ირგვლივ სიღატაკეა. როდესაც ივანიშვილმა გვითხრა, ლარის გაუფასურებაში ცუდი არაფერიაო, ეს ვერ გავიგე. ივანიშვილის ლოგიკით, გამოდის, რუსეთის ფედერაცია აყვავდა ბოლო თვეებში. გარდა ამისა, ივანიშვილს არასწორი ინფორმაცია აქვს ფასების ზრდასთან დაკავშირებით. კონკრეტულად წამლების ფასების გაზრდას ვგულისხმობ. წამლებზე ფასმა 8-10 პროცენტით მოიმატა. ქვეყანაში, სადაც მილიონამდე პენსიონერი ცხოვრობს და ერთი ამდენი უმუშევარია, წარმოიდგინეთ, როგორი დამოკიდებულებაა მედიკამენტებზე. წამლის მომხმარებელთა რაოდენობა კატასტროფულია. ასეთი გამოკვლევა არ არსებობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუ ასეთი გამოკვლევა ჩატარდება, ჩვენ წამლის მომხმარებელ ქვეყანათა შორის მოწინავეთა რიგებში ვიქნებით.

***— „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი კობახიძე რამდენად შეიძლება ივანიშვილის დასაყრდენი აღმოჩნდეს და მასზე დადოს ფსონი?***

— ამაზე ვიტყოდი, რომ ეს არის ივანიშვილის კიდევ ერთი გაბედული, მაგრამ სარისკო გადაწყვეტილება.

***— რატომ?***

— ახალგაზრდა კაცია და მას ძალიან მძიმე ტვირთი აჰკიდა. მე მახსენდება შევარდნაძის შეცდომა, როდესაც მან ერთი პერსპექტიული, განათლებული, ნიჭიერი ახალგაზრდა პოლიტიკურად დაღუპა. მხედველობაში მყავს ფინანსთა ყოფილი მინისტრი ჭკუასელი. ახლა კობახიძეც ამ რისკის წინაშეა. დღეს „ქართული ოცნებიდან“ ევროპული პოლიტიკური პარტიის შექმნა ისეთი ჯოჯოხეთური ტვირთია, რომ პოლიტიკაში გამოუცდელი წესიერი, ნიჭიერი, განათლებული ახალგაზრდა კაცისთვის ეს შეიძლება იქცეს პოლიტიკური კარიერის კატასტროფად. დღეს პარლამენტში არიან ისეთი დეპუტატები, რომელთა მიღება საზოგადოებას კვლავ გაუჭირდება. უკვე საგანელიძეც აღარ არის ის საგანელიძე, რომელიც ოთხი წლის წინ იყო, აღარც ზვიად ძიძიგურია ის ზვიად ძიძიგური, რომელიც ადრე იყო. დავით უსუფაშვილი თითქოს ინარჩუნებს თამასას, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერა. ძალიან ხშირად საკუთარი რწმენის წინაშე მიდის კომპრომისზე.

***— სახელისუფლო პარტიას პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა გაუჭირდება?***

— არჩევნებს გააჩნია. თუ მოქმედი საარჩევნო კანონით ჩატარდა არჩევნები, ვშიშობ, ოპოზიციას შანსი ჰქონდეს. სახელისუფლო გუნდის შემდგომი გამარჯვება ბევრ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული. თუნდაც მიმდინარე პოლიტიკურ თუ სამართლებრივ პროცესებზე. საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრ ვერშბოუ. ის რუსეთში ამერიკის ელჩი იყო. ძალიან ცნობილი პიროვნებაა. მისი განცხადებები ანგარიშგასაწევია ყველგან. მან დელიკატურად გვითხრა, რომ რეფორმებია საჭირო სასამართლო სისტემაში, თავდაცვისა და შს სამინისტროში. ჩემთვის მოულოდნელი იყო, რომ თავდაცვის სამინისტროს კვლავ სჭირდება რეფორმირება, რადგან ალასანია გვეუბნებოდა, ხუთიანზე შევგაფასესო. სასამართლო რეფორმირებას რომ საჭიროებს, ეს ყველამ იცის, რაც შეეხება შს სამინისტროს რეფორმირებას, აქ ვერშბოუმ ნამდვილად იგულისხმა სამინისტროს გაყოფა და უშიშროების სამსახურის გამოყოფა. ამას სააკაშვილს სთხოვდნენ ამერიკელები ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მე ვიყავი სააკაშვილის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე. სააკაშვილი ამერიკამ ვერ აიძულა, რომ ეს კონცენტრირებული ძალაუფლება დაეყო. მაშინ ვანო მერაბიშვილი ნემსის ყუნწში ძვრებოდა, ცოტა გვადროვეთო. არ შეიძლება ერთად იყოს უშიშროება და პოლიცია. თვით საბჭოთა კავშირშიც პირველი, რაც ხრუშჩოვმა სტალინის სიკვდილის შემდეგ გააკეთა, უშიშროების სამსახურების გამოყოფა იყო. დღეს რა გაუჭირდათ? ერთი მინისტრი გაუჭირდათ? კატასტროფაა, როდესაც ქვეყნის ლიდერი თავის საზოგადოებას შორდება. როდესაც პატარა ელიტა კომფორტში ცხოვრობს და საზოგადოებას ეუბნება, შენც კარგად ხარო, ეს უკვე მიუღებელი ხდება საზოგადოებისთვის.



უკვე საგანელიძეც აღარ არის ის საგანელიძე, რომელიც ოთხი წლის წინ იყო, აღარც ზვიად ძიძიგურია ის ზვიად ძიძიგური, რომელიც ადრე იყო. დავით უსუფაშვილი თითქოს ინარჩუნებს თამასას, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერა.

*სამართალი*

## დიდი ოდენობით ნარკოტიკის შეძენა-შენახვის ბრალდებით თურქეთის მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მეთერთმეტე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1957 წელს დაბადებული, თურქეთის მოქალაქე ჯენგიზ ქ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში, აწყურის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 28 აბი „ექსტაზი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,8558 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება 3,4-მეთილენდიოქსიმეტამფეტამინს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემოწმებით, დაკავებულს მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## არასრულწლოვანის სექსუალური ექსპლუატაციისთვის 14-წლიანი პატიმრობა მიესაჯა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ არასრულწლოვანით ვაჭრობისთვის ბრალდებულის, ყირგიზეთის რესპუბლიკის მოქალაქე ნასიბახონ აბდულლაევას საქმის არსებითი განხილვა დაასრულა.

ნასიბახონ აბდულლაევას ბრალი ედებოდა ყირგიზეთის რესპუბლიკის მოქალაქეების, მათ შორის არასრულწლოვანის უ.ა.-ს მიმართ ტრეფიკინგის განხორციელებაში. მას ბრალდება წარდგენილი ჰქონდა საქართველოს ს.ს.კ-ის 1432 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით და საქართველოს ს.ს.კ-ის 1431 მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

ნ. აბდულლაევამ 2013 წლის აპრილში, მაღალანაზღაურებად სამსახურში დასაქმების დაპირებით, ყირგიზეთიდან ქ.ბათუმში ჩამოიყვანა არასრულწლოვანი უ.ა., რომელსაც ჩამოართვა პასპორტი, შეუზღუდა თავისუფლად გადაადგილების უფლება და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით და ძალადობით ახორციელებდა დაზარალებულის სექსუალურ ექსპლუატაციას.

2015 წლის 31 იანვარს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ არასრულწლოვანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე ნასიბახონ აბდულლაევა მთლიანად ცნო დამნაშავედ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1432 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახედ 14 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ნიუსპრესი

## სამტრედიაში, ტყეში, მამაკაცის ცხედარი იპოვეს

სამტრედიის რაიონში, ტყეში გარდაცვლილი კაცი იპოვეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სოფელ მელაურის საძოვრებზე აღმოჩენილი მამაკაცის გვამი, ცხოველების მიერ იყო დასახიჩრებული.

როგორც სამინისტროში ,,ნიუსპრესს“ განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

მედიანიუსი

## შსს-მ ქურდობის ფაქტზე ერთი პირი ამხილა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ადიგენის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რევაზ ს. ქურდობის ფაქტზე ამხილეს.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ რევაზ ს.-მ ადიგენის რაიონის სოფელ ვარხანში გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამსახურის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან, 5 მეტრი სიგრძის, 44 ცალი დასაწყობებული ნაძვის ხის სამასალე მერქანი მოიპარა, რომლის ნაწილიც იქვე მდებარე ხის გადამამუშავებელ სახერხ საამქროში გადაამუშავა.

სამართალდამცველებმა მოპარული ხის მორები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ეროვნულმა ბანკმა ლარის დევალვაცია უნდა შეამციროს

შორენა კოწოწაშვილი

**რამდენად ადეკვატურია დღეს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის შეჩერება და რა ნაბიჯები უნდა გადადგას ეროვნულმა ბანკმა ლარის გასამყარებლად? — ამ საკითხების ირგვლივ „ახალი თაობა“ გთავაზობთ ინტერვიუს ეკონომიკის ექსპერტ სოლომონ პავლიაშვილთან.**

***— ბატონო სულიკო, გავრცელდა საგარეო საქმეთა მინისტრ თამარ ბერუჩაშვილის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო რუსეთთან სავაჭრო მოლაპარაკებებს წყვეტს. ეს სწორი გადაწყვეტილებაა?***

— ვფიქრობ, ეს რაღაც გაუგებრობაა. ამის დაშვება არ შეიძლება. ალბათ, განცხადება იქნა არასწორად ინტერპრეტირებული. შემდგომ სოფლის მეურნეობის მინისტრმაც დაადასტურა, რომ ამის მსგავსი არ ხდება. ყოვლად წარმოუდგენელია ასეთი რამ, როდესაც ამ ეტაპზე უამრავი რაოდენობის ღვინოა გატანილი, ასევე — მინერალური სასმელები. მიმდინარეობს მუშაობა დიდი მოცულობით ღვინო-მასალების ექსპორტირებისთვის. ქართველი გლეხი ისევ აქტიურად დაუბრუნდა ვენახს. დაიწყეს ვენახების გაშენება. ამ მიმართულებით საერთოდ გაჩერებული იყო სამუშაოები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოდან მწვანილის და ხილის ექსპორტი ხორციელდება. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, უარი ვთქვათ ალტერნატიულ ბაზრებზე.

***— ნაციონალურმა მოძრაობამ კრიზისიდან გამოსვლის პროგრამა წარმოადგინა. რამდენად რეალურია მათი წინადადებები?***

— პირდაპირ გეტყვით, რაც მოვისმინე, ეს იყო გაუაზრებელი, სპონტანურად მოფიქრებული და პოპულისტური განცხადება. უფრო მეტიც, არა მგონია, თვითონ ამის ავტორებსაც სჯეროდეთ. დღგ-ს შემცირება 18-დან 16%-მდე ნიშნავს მისი 143%-ით შემცირებას, რაც 2015 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის დღგ-ს სახით 450 მლნ-ით შემცირებას ნიშნავს. ასევე არის აქციზთან დაკავშირებით, რომელიც, ჯამში, 2015 წლის ბიუჯეტის თითქმის ერთი მილიარდია, რაშიც საკმაოდ დიდი წილი ნავთობპროდუქტებზე მოდის, ავტომობილის საწვავზე ტონაზე საშუალოდ 250 ლარია და კიდევ უამრავია სხვა.

***— ლარის კურსთან მიმართებით მთავრობა საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. არის თუ არა კუპონიზაციის საფრთხე?***

— პანიკა ნამდვილად არ უნდა იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მთავრობამ გარკვეული ღონისძიებები არ განახორციელოს და თვითდამშვიდების რეჟიმში გადავიდეს. მთავრობას რიგი ნაბიჯები აქვს გადასადგმელი როგორც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, ასევე ფისკალური პოლიტიკის ხაზით. ვსაუბრობ მთავრობასა და ეროვნულ ბანკზე. ლარის დევალვაცია მიდის. გარკვეული საფრთხეები ჩანს, რომ ინფლაცია დაიწყო. ამიტომ ფრთხილი მიდგომაა საჭირო. მთავრობამ მოსახლეობას მკაფიოდ უნდა უთხრას, რომ ინფლაციის საშიშროება არ არის, რომ დევალვაცია არ გაგრძელდება, რომ ლარი არ გაუფასურდება. მთავრობამ პროგრამა უნდა წარმოადგინოს, რათა ქვეყანა ინფლაციურ მოლოდინში არ გადავიდეს, ხალხმა ისევ დოლარის ამოქაჩვა და ლარის მოცილება არ დაიწყოს. გრძელვადიან პერიოდში, თუ დევალვაცია ასე გაგრძელდა, იმპორტიორები იძულებული იქნებიან, ფასი გაზარდონ იმპორტირებულ პროდუქციაზე. დევალვირებული ლარით ნაყიდი პროდუქცია უკვე გაცილებით ძვირი იქნება, ვიდრე ჩვეულებრივ რეჟიმში შემოტანილი. თუმცა, ვფიქრობ, ამას ამ ეტაპზე იმპორტიორები არ გააკეთებენ. ჯერ ერთი, რაც არ უნდა ტრაფარეტულად მოგეჩვენოთ, შეიძლება, ეს იყოს კეთილი ნების საქმეც; და მეორე — ის, რომ მართლა არ დაკარგონ ბაზარი. ასევე, მათ აქვთ საშუალება, ფასები არ გაზარდონ იმ გაგებით, რომ მარჟა საკმაოდ დიდია ანუ ფასთა სხვაობა საკმაოდ მაღალია საზღვარგარეთ გადახდილ ფასსა და ადგილობრივ ფასს შორის. თუმცა, გარკვეული აუცილებლობის შემთხვევაში, ზოგიერთ პროდუქციაზე, როგორიც არის, მაგალითად, ფარმაცია, შეიძლება, მაინც გაიზარდოს. აქ უკვე მთავრობამ გარკვეულ ღონისძიებებს უნდა მიმართოს.

***— ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებაზე რას იტყვით? ქადაგიძის მხრიდან ყველა ინსტრუმენტის გამოყენების დაანონსება ლარის გასამყარებლად დაგვიანებული ხომ არ არის?***

— ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადება ზოგადად ლოგიკურია. ეროვნულმა ბანკმა უნდა დაიწყოს ყველა ინსტრუმენტის გამოყენება, რათა ლარის დევალვაცია არ გაგრძელდეს. ეს ცოტა დაგვიანებულიც არის. რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებას, ესეც რეალურია. მთელ მსოფლიოში შემცირდა ეკონომიკური ზრდა. ნახეთ, რა ხდება ევროპაში. ესპანეთის გარდა, ყველა სხვა ქვეყანამ შეამცირა დაგეგმილი ეკონომიკური ზრდის პარამეტრები. მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს დიდ ბრიტანეთსაც, სადაც დეფლაციური პროცესები მიდის და ინფლაცია მინუსშია, რაც არ არის კარგი ასეთი სტაბილური ქვეყნისთვის.



***— რა გზას უნდა მიმართოს მთავრობამ, რათა ეროვნულ ბანკს უფრო მეტი პრობლემა არ შეექმნას?***

— ერთი მხრივ, ეროვნულმა ბანკმა უნდა განახორციელოს ინტერვენციები. დოლარი გაუშვას და ბრუნვიდან ამოიღოს ლარი, რითაც საშუალებას მისცემს, მეტ-ნაკლებად ლარის დეფიციტი შექმნას, რაც ლარს გაამაგრებს. დევალვაციას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მესამე კვარტალში გაიზარდა იმპორტი დაახლოებით 200 მლნ-ით. ფაქტობრივად, მეტი დოლარი გავიდა ქვეყნიდან. თუმცა ჯერ არ ჩანს ის რეზერვი, რომელიც ჩვენ გვქონდა. მე ვსაუბრობ რაზე: რადგან ბარელ ნავთობზე ფასები დაწეულია და ძირითადი ჩვენი იმპორტი არის ასევე ნავთობპროდუქტები, შესაბამისად, უფრო ნაკლები დოლარი შემოდის, იმიტომ რომ, თუ ღირდა 120, ახლა ღირს 50 დოლარი ბარელი ნავთობი. ამიტომ, ეს რეზერვიც სად მიდის და როგორ არის, არ ჩანს. საკომპენსაციოდ ის უნდა იყოს. თუმცა, ეტყობა, იმდენად ნაკლებია ტრანსფერები საზღვარგარეთიდან, ის, რომ ექსპორტმაც დაიკლო, იმავე მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე მდგომარეობა, საგარეო ფაქტორები, რომ ეს კომპენსაცია არ ჰყოფნის. ამიტომ იქმნება დოლარი დეფიციტი.

***— ოპოზიცია აცხადებს, რომ მთავრობამ არ იმუშავა და ეკონომიკური გუნდის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს.***

— მე ვერ ვხედავ მათი პასუხისმგებლობის დაყენების აუცილებლობას, მაგრამ გასაკეთებელი რომ ნამდვილად აქვთ, ეს მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. ბიუჯეტის დეფიციტი უნდა შემცირდეს. ვფიქრობ, 2015 წლის ბიუჯეტი გადასახედია. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებები არის ხარჯები. მასტიმულირებელი ხარჯები ამ ეტაპზე შესაძლებელია, შევამციროთ, რათა ლარის დევალვაცია არ მოხდეს და შემდგომში დიდ ინფლაციაში არ გადაიზარდოს.

***— თქვენ ბიუჯეტის გადახედვის აუცილებლობას ხედავთ. თუ ეს ნაბიჯები არ გადაიდგა, ლარის კურსი შეიძლება გაიქცეს?***

— რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ლარის დევალვაცია კიდევ გაიზარდოს და მერე ეს დევალვაცია გადაიზარდოს ინფლაციაში, თუმცა ამ ეტაპზე ამის საშიშროებას ვერ ვხედავ. რაღაც კოორდინაციაა ეროვნულ ბანკსა და მთავრობას შორის. ეს კოორდინაცია სუსტი იყო, ახლა კი უფრო მკაფიოა.

***— ბანკები სესხებს დოლარში გასცემენ და ლარში სესხის გაცემას ერიდებიან...***

— ბოლო ორი წლის მანძილზე 60%-ით არის გაზრდილი ლარში კრედიტების მოცულობა, რადგან ლარის მიმართ ნდობა შედარებით გამყარდა. ამიტომ დაიწყეს ბანკებმა ლარში კრედიტების გაცემა. ვისაც სესხი დოლარში აქვს აღებული, ახლა პრობლემა მას აქვს. ძირითადად შემოსავალი ქვეყნის მოსახლეობას ლარში აქვს. არ ვსაუბრობ იმაზე, ვინც ტრანსფერებს იღებს უცხოეთიდან. ეს რაოდენობა ძალიან ცოტაა. დღეს ტრანსფერის მოცულობა შემცირებულია როგორც რუსეთიდან, ისე სხვა ქვეყნებიდან, თუმცა — რუსეთიდან ყველაზე მეტად. დღეს მეტი ლარი სჭირდებათ იმ კრედიტის დაფარვისთვის, ვიდრე ადრე იყო. ეს არის ყველაზე პრობლემური. აი, ამაში უკვე სახელმწიფოს გარკვეული ბრალია, მოსახლეობას ეს პრობლემა რომ აქვს. ქვეყანაში დევალვაცია მიდის და სახელმწიფომ შესაბამისი ზომები უნდა გაატაროს.

# რუსუდან შარაძე: გურამ შარაძე ორმა სპეცრაზმელმა მოკლა“

## გურამ შარაძის მკვლელობის ხელახალი გამოძიება დაიწყო

გულიკო ბალაძე

**2007 წლის 20 მაისს მელიქიშვილის გამზირზე მომხდარი ტრაგედიის ხელახალი გამოძიება დაიწყო.**

**როგორც გურამ შარაძის ქალიშვილი, რუსუდან შარაძე აცხადებს, მელიქიშვილის გამზირზე მოკლული გურამ შარაძის საქმეზე ქალაქისა და მთავარი პროკურატურის წარმომადგენლები 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ, მაგრამ პრობლემები მაინც არის.**

გურამ შარაძის მკვლელობის ფაქტი გადაიღო სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ ვიდეოკამერებმა. წლების განმავლობაში რუსუდან შარაძისთვის „ალდაგის“ ვიდეოთვალით გადაღებული ყველა ფირი ხელმისაწვდომი არ იყო.

— „ალდაგის“ მხრიდან ადგილი აქვს შეგნებულ ან შეუგნებელ ღალატს! — განაცხადა რუსუდან შარაძემ „რეპორტიორის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე.

რუსუდან შარაძემ „ალდაგის“ კამერით გადაღებული, საზოგადოებისთვის უცნობი ვიდეოფირი გაასაჯაროვა.



## „ალდაგს“ მორალურ პასუხისმგებლობას ვაკისრებ!“

რუსუდან შარაძე მთელი ამ წლების განმავლობაში აცხადებდა და ახლაც განაცხადა, რომ გურამ შარაძე არ მოუკლავს გიორგი ბარათელს, რომელიც უკვე წლებია, სასჯელს იხდის.

რუსუდან შარაძეს აქვს ინფორმაცია, რომ მკვლელობა ჩაიდინა ორმა სპეცრაზმელმა, რომელთაგან ერთ-ერთი რუსეთში საეჭვო ვითარებაში მოკლეს, მეორე კი სამეგრელოში ერთ-ერთ უწყებაშია დასაქმებული.

— არსებობს სამი კამერით გადაღებული კადრები. მათგან ორზე ჩანან მამაჩემი და მკვლელი. ამ ორიდან ერთ-ერთზე ასახულია მკვლელობაც. 2007 წელს არც ერთი კადრი არ მომცეს. ორი თვის წინ მთავარი პროკურორის მოადგილე ირაკლი შოთაძეს ვთხოვე და მან გადმომცა სრული ვერსია. — აღნიშნა რუსუდან შარაძემ, რომელმაც ისიც თქვა, რომ ჩატარდა ფირის ექსპერტიზა, რომელსაც თვითონაც დაესწრო.

**რუსუდან შარაძე:**

— ამ კადრებზე ვამყარებდი დიდ იმედს, რადგან ვფიქრობდი, რომ ამ კადრებით შესაძლებელი იქნებოდა მკვლელის ზუსტი სიმაღლის დადგენა. მკვლელის სიმაღლე რომ დადგინდეს, ადვილად შეიძლება იმის გამოაშკარავება, რომ მკვლელი არ არის გიორგი ბარათელი. მკვლელის ზუსტი სიმაღლის დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან არ ვიცით, რა ტიპის აპარატურითაა გადაღებული. ამ ინფორმაციას სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“ მალავს.

რუსუდან შარაძე „ალდაგს“ მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებს.

— სამართლებრივად არავის აქვს უფლება, პასუხი მოსთხოვოს კომპანიას, რატომ არ შეინახა საკუთარი დოკუმენტაცია, მაგრამ მე, რუსუდან შარაძე, „ალდაგს“ ვაკისრებ მორალურ პასუხისმგებლობას. „ალდაგის“ მხრიდან ადგილი აქვს შეგნებულ ან შეუგნებელ ღალატს. ამ კომპანიასთან დაკავშირებით არსებობს კითხვები, ვინ ან რატომ დააყენა ორი კამერა ერთი მიმართულებით და, თუ დააყენეს, მეორე დღეს რატომ შეუცვალეს მიმართულება? ვფიქრობ, ეს გაკეთდა იმისთვის, რომ მკვლელის სახე არ გამოჩენილიყო. მივმართავ „ალდაგს“: თქვენ გეძლევათ შანსი, ჩამოირეცხოთ ლაქა და გააქარწყლოთ ეჭვები. მოგმართავთ თხოვნით, გამოაჩინოთ დოკუმენტაცია და გვითხრათ, რა ტიპის კამერამ გადაიღო 2007 წლის 20 მაისს მელიქიშვილის გამზირზე მომხდარი ტრაგედია! — განაცხადა რუსუდან შარაძემ.

◆ ◆ ◆

ჩვენთვის ცოტა გაუგებარია, პროკურატურა რატომ ვერ ახერხებს იმ ინფორმაციის მოპოვებას, რომელზეც რუსუდან შარაძე საუბრობს.

რუსუდან შარაძე ამბობს, „ალდაგს“ სამართლებრივად უფლება აქვს, არ გაამჟღავნოს, რა ტიპის აპარატურით არის გადაღებული გურამ შარაძის მკვლელობის ფაქტი. მე კი ეს არ მჯერა. ეს ხომ „ალდაგის“ კომერციული საიდუმლო არ არის.



არ ვიცი, კანონის რომელი ნორმით აქვს უფლება, თუნდაც კერძო კომპანიას, არ გაამჟღავნოს გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ნუთუ ყოვლისშემძლე პროკურატურა იმდენად დაკნინდა, რომ რუსუდან შარაძის მხრიდან მორალური პასუხისმგებლობის დაკისრების იმედად დარჩა? იქნებ საქმის შეგნებულ გაჭიანურებასთან გვაქვს საქმე? რუსუდან შარაძემ არაერთხელ მიანიშნა გამოძიებას მკვლელობის სავარაუდო ჩამდენებზე. საინტერესოა, გამოძიება ამჯერად რას იტყვის.

## ირაკლი ფირცხალავა გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის მზად არის

„სამართალდამცავთა დაცვის ლიგის“ დამფუძნებელი ირაკლი ფირცხალავა გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის მზად არის.

ფირცხალავას განცხადებით, ზურაბ ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებით მისი დაკავება უკვე დაანონსებულია, ამიტომაც მისი თქმით, იგი დამალვას არ აპირებს.

დღეს ირაკლი ფირცხალავამ მთავარ პროკურორს განცხადებით მიმართა, რომ ეგრეთწოდებული კორტების საქმე პირად კონტროლზე აიყვანოს, რათა არ მოხდეს უდანაშაულო პირების პასუხისგებაში მიცემა და დაკავება.

„გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზეწოლა ხდება პოლიციელებზე და სხვა სამართალდამცავებზე, აქედან გამომდინარე მე თვითონ გამოვცხადდი და განვუცხადე პროკურატურას, რომ მიმალვას არ ვაპირებ და არც მოწმეებზე ზემოქმედებას არ ვაპირებ. განცხადებაში მივუთითე ჩემი საკონტაქტო, შეუძლიათ დამირეკონ და დამკითხონ ან დამაკაონ“, — აღნიშნა ირაკლი ფირცხალავამ.

მედიანიუსი

## ბათუმში 40 წლამდე მამაკაცმა ბენზინი გადაისხა და ცეცხლი წაიკიდა

ბათუმში 1 თებერვლის ღამით მამაკაცმა თავის დაწვა სცადა. ბაგრატიონისა და ლერმონტოვის ქუჩების კვეთაში არსებულ ბენზინგასამართ სადგურთან 40 წლამდე მამაკაცმა ბენზინი გადაისხა.

ექიმების განცხადებით, პაციენტის მდგომარეობა მძიმეა, რადგან მამაკაცს დამწვრობა მთელს სხეულზე აქვს მიღებული. ჯანმრთელობის გაუარესების გამო კი იგი თბილისის დამწვრობის ცენტრში გადაიყვანეს.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

მედიანიუსი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!
სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე
მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ემზარ კვიციანი: კოდორის ხეობა 15-მა აფხაზმა აიღო“

## ყოფილ რწმუნებულს მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეაქვს

შორენა მარსაგიშვილი

**კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული, ემზარ კვიციანი, ჯერჯერობით პოლიტიკაში ჩარევას არ აპირებს. ამასთან, ის აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას შეუდგა. 31 იანვარს მან რუსთაველზე გამართულ აქციაშიც მიიღო მონაწილეობა და რამდენიმე ათას ადამიანთან ერთად სამართლიანობის აღდგენა მოითხოვა.**



სამართლიანობის აღდგენას ის საკუთარი ძალებითაც აპირებს. კვიციანი მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სამართლებრივი დავას იწყებს.

როგორც ემზარ კვიციანმა განაცხადა, მისი ადვოკატები სარჩელს უკვე ამზადებენ, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მესამე პრეზიდენტს სისხლის სამართლის ორი — 73-ე და მე-100 მუხლებით უჩივლებს.

— უმაღლეს მთავარსარდალს არ ჰქონდა ჯარების გადაადგილების უფლება პარლამენტის ნებართვის გარეშე. მაშინ, 2006 წელს, სააკაშვილმა დანაშაულებრივი გადაწყვეტილება მიიღო კოდორის ხეობაში ჯარის შეყვანისა და ხეობის მოსახლეობაზე ძალის გამოყენების შესახებ. — განაცხადა ემზარ კვიციანმა.

მისივე თქმით, 2006 წლის ზაფხულში მოხდა ნიადაგის შემზადება, რათა ქართულ მხარეს სამომავლოდ შეძლებოდა კოდორის ხეობის რუსული მხარისთვის გადაცემა. ემზარ კვიციანის ინფორმაციით, მან იცოდა, რომ კოდორის ხეობაში ჯარის შეყვანით ხეობა დაიკარგებოდა.

— ხეობაში ჯარის შემოყვანა არ შეიძლებოდა. მე ვიცოდი, რომ ჯარს შემოიყვანდნენ, მერე ჯარი მიატოვებდა იქაურობას და ჩააბარებდნენ ხეობას რუსეთს. — განაცხადა კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილმა რწმუნებულმა.

მისივე თქმით, 2008 წელი იყო ქვეყნის ღალატის კოლექტიური ქმედება, რაც აუცილებლად უნდა დაისაჯოს.

ემზარ კვიციანი ყველაზე მეტად იმის გამოა გამწარებული, რომ კოდორის ხეობა 15-მა აფხაზმა აიღო. არადა, კვიციანი თავის თანამებრძოლებთან ერთად მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგისგან ახერხებდა ხეობის დაცვას.

ადგილობრივი მოსახლეობისგან შექმნილი ბატალიონი, „მონადირე“, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო. თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილმა ეს ბატალიონი გააუქმა.

2006 წლის ზაფხულის მოვლენების შემდეგ იქ რამდენიმე ათასი მებრძოლი შეიყვანეს. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მათ ერთი გასროლის გარეშე დატოვეს ხეობა.

თავის დროზე ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ხეობის დატოვების ბრძანება მან გასცა. ემზარ კვიციანი ეჭვობს, რომ ეს ბრძანება მიხეილ სააკაშვილისგან მოდიოდა.

— გამოვიდნენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები და თქვან, ვინ დაავალა მათ კოდორის ხეობის ჩაბარება.3500 კაცი: პოლიციელები, სამხედროები, მაშინ სააკაშვილმა კოდორიდან გამოიყვანა, თითქოს მათ ომი არ შეეძლოთ ისე, მაგრამ უბრძანეს, მიატოვეთ იქაურობაო. 2 წელიწადში კოდორში ნახევარი მილიარდი დოლარია ჩამოწერილი, მაშინ როცა 4000 ლარად ვინახავდით ამხელა ტერიტორიას. ჩაბარების გადაწყვეტილების საქმის კურსში იყო სააკაშვილი. მე დარწმუნებული ვარ, პროცესში ჩართული იქნებოდა მერაბიშვილიც. — განაცხადა კვიციანმა.

პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ფიქრობს, რომ მაშინდელმა ხელისუფლებამ ირაკლი ოქრუაშვილი და ირაკლი ალასანია გეგმის შესასრულებლად გამოიყენა.

სხვათა შორის, ირაკლი ალასანია ერთადერთი იყო მაშინდელ მთავრობაში, რომელმაც ბატალიონ „მონადირის“ გაუქმება გააპროტესტა. ამის გამო მას სერიოზული უთანხმოება მოუვიდა ოქრუაშვილთან.

— ეჭვი მეპარება, რომ ჩაბარების გადაწყვეტილების შესახებ იცოდა ოქრუაშვილმა, იმიტომ, რომ კოდორის ამბის შემდეგ ის მოიშორეს, ოქრუაშვილი „მონადირის“ დასაშლელად გამოიყენეს. ოქრუაშვილი რომ იქ ყოფილიყო, შეიძლება ეომა და არ დაეთმო კოდორის ხეობა, მაგრამ არ აცხადებს ამას. გამოვიდეს და თქვას, თუ ასე იყო. რაც შეეხება ირაკლი ალასანიას, იგი გუბერნიის გასაუქმებლად გამოიყენეს. ალასანია ზუსტად ისე გამოიყენა მაშინდელმა პრეზიდენტმა, როგორც ოქრუაშვილი. ოქრუაშვილი გამოიყენა „მონადირის“ დასაშლელად და ალასანია — გუბერნიის გასაუქმებლად. ჩემი და რატომ იჯდა ციხეში? იმიტომ, რომ ჩემი და წინ დაუდგებოდა ჯარს, არ გამოუშვებდა ხეობიდან და აომებდა! არც ერთი შანსი არ დაგვიტოვეს ქართველებს, რომ ვიღაცას ებრძოლა. 15 აფხაზი შევიდა კოდორში, ვინც აიღო კოდორის ხეობა. სამარცხვინო ფაქტია! ამიტომ იქ მღვდლები დახვდნენ მხოლოდ და ნახეს, მიყვებოდნენ ისინი, რაც ხდებოდა. ახლა უკრაინაში იბრძვიან საქართველოსთვის და კოდორში რატომ არ იბრძოლეს საქართველოსთვის... ვერანაირად ვერ ახსნი ადამიანი, სად ვცხოვრობთ, რას ვაკეთებთ! — განაცხადა კვიციანმა.

პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულს ხშირად ადანაშაულებენ იმაში, რომ ის წლების მანძილზე რუსეთს აფარებდა თავს. ამის გამო არაერთხელ დაისვა კითხვა: თუ რუსებს ებრძოდა, იქ როგორღა ცხოვრობდა?

კვიციანი მზად არის, ამ კითხვაზეც გასცეს პასუხი. ის მთავარ პროკურატურას ამ საქმის შესწავლას სთხოვს და მზად არის, ამ უწყებასთან ითანამშრომლოს.

— ჩემზე ამბობენ, რომ რუსეთიდან მოვდივარ. შეისწავლონ ეს საქმე. გამომკითხონ, რაც უნდათ, ყველანაირ თანამშრომლობაზე ვარ მზად. არაფერზე არ ვარ უკანდამხევი! — აღნიშნა ემზარ კვიციანმა.

როგორც უკვე ვთქვით, კვიციანმა 31 იანვარს გამართულ აქციაშიც მიიღო მონაწილეობა. როგორც თავად განაცხადა, აქციაზე, პირველ რიგში, იმიტომ მივიდა, რომ ხალხისთვის მადლობა გადაეხადა. ამ წლების მანძილზე მას ბევრი მოღალატედ მიიჩნევდა, მაგრამ უფრო მეტი მას გულშემატკივრობდა.

— მოვედი იმიტომ, რომ ამ ხალხისთვის მადლობა გადამეხადა. ისინი გვერდში მედგნენ და მხარს მიჭერდნენ. მეორე მხრივ კი, აქციას შევუერთდი იმის გამო, რომ ხელისუფლებას დავეხმარო იმის გარკვევაში, ვინ არის დამნაშავე წინა ხელისუფლების დროს განვითარებული ტრაგიკული მოვლენების დროს და ვინ არის მსხვერპლი და პოლიტიკური პატიმარი. დაუსჯელები არ უნდა იყვნენ ისინი, ვინც მტერს ჩააბარა ჩვენი მიწა-წყალი, მოახდინა სისხლისღვრა და გაუსწორდა საკუთარ ხალხს. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ამ აქციით ხელისუფლებას დავანახებთ რეალურ სურათს, თუ რა მდგომარეობაა ქვეყანასა და საზოგადოებაში. — განაცხადა ემზარ კვიციანმა.

# ჯამბულ გამცემლიძე: ჩვენი შვილები მხოლოდ ნაციონალების გასანეიტრალებლად ახსენდებათ!“

## რა პირობა მიიღეს შვილმოკლულმა მშობლებმა მთავარი პროკურორისგან

შორენა მარსაგიშვილი

**საზოგადოება ისევ სამართლიანობის აღდგენასა და გახმაურებული მკვლელობების გამოძიებას ითხოვს. შვილმოკლულ მშობლებს სამართლის საძიებლად კვლავ აქციების მოწყობა უწევთ. რატომ ვერ ხერხდება დამნაშავეთა დასჯა, რა პირობა მიიღეს მთავარი პროკურორისგან — ამ თემებზე „ახალ თაობას“ პატრულის მიერ მოკლული გიორგი გამცემლიძის მამა, ჯამბულ გამცემლიძე ესაუბრება.**

***— ბატონო ჯამბულ, 31 იანვარს სამართლიანობის აღდგენისა და გახმაურებული მკვლელობების გამოძიების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გაიმართა. გეგონათ, რომ ხელისუფლების შეცვლიდან თითქმის 3 წლის თავზე ეს მოთხოვნები ისევ აქტუალური იქნებოდა? თქვენი აზრით, რა არის იმის ბრალი, რომ კვლავ სამართლიანობის აღდგენას ითხოვთ?***

— ამ აქციაზე ჩვენი მისვლის მიზეზი ის არის, რომ საშველი არაფრით არ დაადგა ხმაურიანი მშობლების მიერ გახმაურებული საქმეების ძიებაში დაბრუნებას. მართალია, რამდენიმე საქმე დააბრუნეს ძიებაში, მაგრამ არც მათი გამოძიება ხდება.

***— თქვენ სოსო რობაქიძესთან ერთად შეხვდით მთავარ პროკურორს. თქვენი შვილის, ბუტა რობაქიძის საქმის გამოძიება რა ეტაპზეა? თქვენი შვილების მკვლელებიც სტრუქტურებში მუშაობენ, ზურა ვაზაგაშვილის მკვლელების მსგავსად?***

— 30 იანვარს ჩვენ, სამოქალაქო მოძრაობის საბჭოს წევრები, შევხვდით მთავარ პროკურორ გიორგი ბადაშვილსა და მის მოადგილეებს, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. ამ შეხვედრამ ძალიან დიდი იმედი ჩაგვისახა.

***— რაიმე კონკრეტული დაპირება მიიღეთ?***

— ჩვენ შორის შედგა კონსტრუქციული საუბარი. მათი მხრიდან დეტალურად იქნა დასაბუთებული ის არგუმენტები, რომლებიც გამოძიებას ხელს უშლიან.

***— რამდენად გასათვალისწინებელია ეს არგუმენტები?***

— მათ მიერ წარმოდგენილი ხელისშემშლელი არგუმენტები ნაწილობრივ გასათვალისწინებელია და არ არის ლოგიკას მოკლებული. თუმცა ეს არ არის გამოსავალი და არავის არ ამართლებს.

***— ამ არგუმენტების გამო ეს საქმეები კვლავ გამოუძიებელი ხომ არ დარჩება?***

— მე ამ შეხვედრამ იმედი გამიჩინა. ეს იყო იმედისმომცემი საუბარი. ვფიქრობ, ადგილიდან დაძრავს ამ საქმეებს, რაც მართლაც მისასალმებელია და იმედს გვაძლევს, რომ მალე აღდგება სამართალი, ხოლო დამნაშავეები დაისჯებიან. ჩვენ, სამოქალაქო საბჭოს წევრები, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ სიმართლე დადგინდეს.

ვინც არ იცის, ვეტყვი, რომ სამოქალაქო საბჭო შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლის“ ბაზაზე. „გადაარჩინე სიცოცხლის“ თავმჯდომარე იყო იური ვაზაგაშვილი, რომელიც ასე ვერაგულად იქნა მოკლული შვილის საფლავზე.

ზემოთ ხსენებული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი მე. ახლაც მოადგილედ ვრჩები და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ სამართალი იქნეს დამკვიდრებული. ეს იური ვაზაგაშვილის ოცნება იყო. ის ამისთვის იბრძოდა და ამ ბრძოლას შეეწირა.

მე ძალიან ვნანობ, რომ ბატონი იურის სიცოცხლის დასასრული გახდა საწყისი, ადგილიდან დაძრულიყო გამოუძიებელი საქმეების წარმოებაში შესვლა.

***— იმ დამნაშავეებზე რა გითხრათ პროკურატურამ, რომლებიც დღემდე მუშაობენ ძალოვან სტრუქტურებში?***

— მივიღეთ დაპირება, რომ ყველა დამნაშავე იქნება სამსახურიდან გათავისუფლებული. ვერც ერთი მათგანი პასუხისგებას ვერ გადაურჩება.

***— ერთხელ თქვენ განაცხადეთ, რომ ის ხალხი, ვინც ახლა პარლამენტშია, გამარჯობასაც კი აღარ გეუბნებიან შვილებმოკლულ მშობლებს. რა შეიცვალა? ყველა აღიარებს, რომ ისინი თქვენი შვილების სისხლზე მოვიდნენ ხელისუფლებაში. რას ეტყოდით ამ ადამიანებს?***

— ეს ხალხი ხელისუფლებაში მართლაც ჩვენი შვილების სურათების ფრიალით მოვიდა. მათი ასეთი უყურადღებობა ძალიან საწყენია. ვერ დამისახელებთ შემთხვევას, როცა ისინი ამ საქმეების გამოძიების დაჩქარებას ითხოვდნენ. ჩვენი შვილების სახელებს მხოლოდ ნაცბანდის წარმომადგენლებთან დებატებისას იხსენებენ, ჩვენი შვილების სახელების ხსენებით ახერხებენ ამ დამნაშავეების განეიტრალებას.

იური ვაზაგაშვილი სამართლის ძიების პროცესში დაიღუპა. ყველამ ვნახეთ, როგორ დადიოდნენ პოლიტიკოსები მის პანაშვიდზე. მათი მხრიდან სამძიმარზე მოსვლა ვერაფრით ვერ გაამართლებს მათ წინა ქმედებებს, რადგან სიცოცხლეში ის მარტო დარჩა ამ უთანასწორო ბრძოლაში. და არა მარტო იური, ყველა ასე ვართ, მაგრამ, არა უშავს, ღმერთი ჩვენთანაა და სიმართლე გაირკვევა.

31 იანვარს ჩვენ შევუერთდით აქციას სამართლიანობის აღდგენისა და დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნის გამო. ყველა იმ აქციაში მივიღებთ მონაწილეობას, სადაც მსგავსი რამ იქნება დაანონსებული, რათა საბოლოოდ დაესვას წერტილი ნაცბანდის პოლიტიკური ასპარეზიდან მოშორებას. ეს ბანდა უნდა გასამართლდეს!



***— 9 თებერვალს არის ზურა ვაზაგაშვილის დაბადების დღე. გადაცემა „რეაქციაში“ გამოსვლის დროს თქვენ იმედი გამოთქვით, რომ ამ დღისთვის მისი საქმე გამოძიებული იქნება. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ერთ კვირაში კორტების სპეცოპერაციას ნათელი არ მოეფინა?***

— იმედი გვაქვს, ეს საქმე ამ დღეებში გაიხსნება. ჩვენ, „გადაარჩინე სიცოცხლე“ და სამოქალაქო საბჭო 9 თებერვალს ვაწყობთ აქციას სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთა მემორიალთან. ეს ის ადგილია, სადაც ზურა ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი დახვრიტეს. ამ მემორიალურ დაფას მიემატა კიდევ ერთი გვარი და სახელი — იური ვაზაგაშვილი. 9 თებერვალს არის ზურა ვაზაგაშვილის დაბადების დღე. ჩვენ ვიკრიბებით იმისთვის, რომ პატივი მივაგოთ ყველა დაღუპულის ხსოვნას, გავიხსენოთ ზურა ვაზაგაშვილი, ვუთხრათ მთელ ქვეყანას: ,,არა ტერორიზმს“, „არა კოჰაბიტაციას“, „არა ნაციონალურ მოძრაობას“. იმედი გვაქვს, ამ დღეს ზურა ვაზაგაშვილის საქმე გამოძიებული იქნება. ხელისუფალთ კი მივმართავ და ვთხოვ, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ იური ვაზაგაშვილის საქმე დროულად იქნეს გამოძიებული და დამნაშავენი კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯონ.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08, ქალბატონი ფიქრია

# ჯერჯერობით უცნობია, გახდება თუ არა ლუკა კურტანიძე პარლამენტის წევრი

ჭიდაობის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ლუკა კურტანიძე, შესაძლოა პარლამენტის წევრი გახდეს. პარლამენტის უმრავლესობის გარდაცვლილი დეპუტატის თამაზ ავდალიანის ადგილმონაცვლე, კოალიცია ,,ქართული ოცნების" საარჩევნო სიაში, სწორედ ლუკა კურტანიძეა. შესაბამისად, პარლამენტში გათავისუფლებული ადგილი კურტანიძემ უნდა დაიკავოს.

თავად კურტანიძეს დეპუტატის მანდატის შესაძლო აღებაზე ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თამაზ ავდალიანი, მძიმე ავადმყოფობის შედეგად ორი დღის წინ გარდაიცვალა.

ნიუსპრესი

# ნინო ბურჯანაძე საკუთარ განცხადებაში დაშვებული მექანიკური გადაცდომის გამო წუხილს გამოთქვამს

პარტია ,,გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის□ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, რამდენიმე დღის წინ მის მიერ გაკეთებულ განცხადებაში დაშვებული მექანიკური გადაცდომის გამო წუხილს გამოთქვამს და ბოდიშს უხდის ყველა იმ ადამიანს, ვისაც უნებლიედ ტკივილი მიაყენა.

როგორც პარტიის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ბურჯანაძემ როდესაც სიტყვა - □დაუნიზმი□ ხელისუფლების წარმომადგენელთა მისამართით თქვა, ეს იყო შეცდომა და ნამდვილად არ ისახავდა მიზნად ადამიანებისთვის, მით უფრო დაუნის სინდრომის მქონეთათვის ტკივილის მიყენებას.

ნინო ბურჯანაძემ 30 იანვარს ჰუმან რაით ვოთჩ□ის ანგარიშის შეფასებისას განაცხადა რომ, ,,ხელისუფლების დაუნიზმზე საერთაშორისო საზოგადოებას შესაბამისი რეაქცია ექნებოდა".

ნიუსპრესი

# კახა ძაგანია: ხელისუფლება ვერ ხვდება, სააკაშვილი რამხელა საფრთხეა!“

მარიკა მჭედლიშვილი

რატომ შეუერთდა „მემარცხენე ალიანსი“ „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციას? მყარდება თუ არა სამართლიანობა? სად იკვეთება საბოტაჟი? — „ახალი თაობა“ ამ და სხვა საკითხებზე „მემარცხენე ალიანსის“ ერთ-ერთ ლიდერ კახა ძაგანიას ესაუბრა.

***— ხელისუფლება თებერვლიდან სამართლიანობის დამყარებას გვპირდება, თუმცა ამ მოთხოვნით აქციები მაინც გახდა საჭირო. თქვენ („მემარცხენე ალიანსი“) შაბათს შეუერთდით სამართლიანობის აღდგენისა და დამნაშავეების დასჯის მოთხოვნით „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ორგანიზებულ აქციას..***

— ჩვენ აუცილებლად ჩავთვალეთ, ჩავრთულიყავით ამ აქციაში, რადგან ხელისუფლებისათვის საჭირო გახდა მოწოდებები სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით. „ქართულ ოცნებას“ ორ წელიწადზე მეტი ჰქონდა, რომ პირველი ნაბიჯები მაინც გადაედგა სამართლიანობის აღდგენის გზაზე, მაგრამ ჯერ ისევ არაფერი გაკეთებულა.

***— ჩვენ ტერაქტის მომსწრეც გავხდით.***

— ხელისუფლებას ეს ნაბიჯები რომ გადაედგა სამართლიანობისაკენ, სიმართლისათვის მებრძოლი იური ვაზაგაშვილი ცოცხალი იქნებოდა. საფრთხის წინაშეა კიდევ ერთი შვილმკვდარი მშობელი — ია მეტრეველი. მასზეც არის ტერაქტის შეკვეთა. ამ სიტუაციაში აუცილებელია, რომ მას დაცვა დაენიშნოს. ამ უმოქმედობაში მივიღეთ გარკვეული ჯგუფების გათავხედება.

***— რომელი ჯგუფების გათავხედებაზე საუბრობთ?***

— მთელ საქართველოს აჩვენეს „გახმაურებული ეკას“ კადრები, მისი უწმაწური გამოთქმები და პატრულთან კამათი. ისმის კითხვა — საიდან მოხვდა ეს კადრები ნაციონალური მოძრაობის ხელში? ამის წყაროა ჩანერგილი ხალხი, რომელიც სააკაშვილის პარტიას ბლომად ჰყავს ყველგან, განსაკუთრებით — სამართალდამცავ ორგანოებში. ამ დღეებში კიდევ ერთი ფაქტი გახმაურდა, ამჯერად — ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის სტრუქტურიდან. ეს იყო აშკარა საბოტაჟი.

***— ანუ აქტივისტებისთვის ხელის შეშლა და ამის ფარულ კამერაზე გადაღება საბოტაჟია?***

— რა თქმა უნდა. ეს არის სახელმწიფო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა, რაც ისჯება ორიდან ოთხ წლამდე პატიმრობით. ნაციონალების დროს რომ ამგვარი რამ ვინმეს მოეწყო, სააკაშვილი ჩაატარებდა ბრიფინგს და ამაზე ქვეყანას შეყრიდა. ამ ისტორიაში გარეული აშკარად სპეცსამსახურების „ტიპია“, რომელსაც სათში აქვს ჩამონტაჟებული კამერა და რომელიც გამომწვევად იქცევა. ხელისუფლებამ ამაზეც უნდა მოახდინოს რეაგირება და წინა წლებში ჩადენილ დანაშაულებზეც. ახლა მაინც უნდა დაიწყოს სამართლიანობის დამყარება, თორემ, ეს თუ არ მოხდა, ნაცმოძრაობის დაბრუნების შანსი გაძლიერდება.



„თუ ხელისუფლება გონს არ მოვა, მალე მივიღებთ ნახევრად პოლიტიკურ და ნახევრად კრიმინალურ ნაცმოძრაობას ჰალსტუხებითა და კალაშნიკოვებით!“

***— საზოგადოებაში დიდი დაძაბულობაა, ქვეყანაში კი — უამრავი პრობლემა. ამ სიტუაციაში საზოგადოება დიდი გულისყურით უსმენდა ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ამ დღეებში ტელევიზიით გამოვიდა. მისი გამოსვლა სანუგეშო იყო?***

— ეკონომიკურ ნაწილს შევეხები. ლარის კურსთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის დამაიმედებელ პათოსს ვერ გავიზიარებ. ლარის კურსი დაეცა, რამაც სერიოზული პროცესები გამოიწვია. საერთოდ, ლარის კურსი და მისი სიძლიერე პირდაპირ არის დაკავშირებული სამუშაო ადგილებთან, ასევე კორუფციასთან. სამუშაო ადგილები ვერა და ვერ შეიქმნა. ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა, რომელიც სახელმწიფოს ხერხემალია. მასობრივი კორუფციის ნიშნები არ არის. თუმცა, ამ ხელისუფლებაში მოიფიქრეს მისი ახალი წესი პრემიებისა და დანამატების სახით. ლარის კურსის ვარდნა პირდაპირ ტვირთად დააწვა მოსახლეობას. ამიტომ, არა მგონია, ამ კუთხით მათთვის ეს გამოსვლა სანუგეშო იყოს. კიდევ ერთი უბედურება ისაა, რომ საგარეო პოლიტიკაშიც კრახი გვაქვს.

***— საქართველოს ხელისუფლების საწინააღმდეგო მორიგი რეზოლუციები გაქვთ მხედველობაში?***

— ეგეც და სხვა ბევრი რამეც. დიპლომატია, უმეტესად, აგებულია პირად ურთიერთობებზე. საქართველოს ბიუჯეტის ანუ საქართველოს მოქალაქეების ხარჯზე სააკაშვილმა მშვენიერი ურთიერთობები ააგო ევროპის სახალხო პარტიასთან და ლიბერალებთან. ისინიც იმ რეზოლუციების გატანას უზრუნველყოფენ, რომლებიც ნაცმოძრაობას აწყობს. „ქართული ოცნების“ დიპლომატებს სულ ჩავარდნები აქვთ. არა მგონია, ქართული პოლიტიკის წარმატება იყოს ეკა ბესელიას დანიშვნა ერთ ქვეკომიტეტში. წარმატება მაშინ იქნებოდა, რომ ასეთი რეზოლუციები არ იყოს და მერაბიშვილსა და უგულავას არავინ უწოდებდეს პოლიტიკურ დევნილს. კრახი გამოიხატა თამარ ბერუჩაშვილთან დაკავშირებულ სკანდალშიც.

***— საგარეო მინისტრმა განაცხადა, რომ დროებით შეჩერებულია აბაშიძე-კარასინის დიალოგი...***

— ბერუჩაშვილი უარყოფს, რომ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების შეწყვეტაზე ისაუბრა, თუმცა გავრცელდა სხვა ინფორმაცია. რადიო „თავისუფლების“ ცნობით, საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველო რუსეთთან ვაჭრობის საკითხებზე დიალოგს აჩერებს. ამ დეტალებს უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა. ნებისმიერ შემთხვევაში, საგარეო პოლიტიკაში სრული კრახია. ასეთი საგარეო პოლიტიკით სააკაშვილს პოლიტიკურ საიქიოში ვერ გაუშვებენ.

***— აქვს კი გააზრებული „ქართულ ოცნებას“, რომ სააკაშვილი და მისი გარემოცვა საფრთხეა?***

— ეტყობა, არა აქვს ეს კარგად გააზრებული, არადა, აშკარაა, რომ ესაა საფრთხე ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის. ნაციონალებს უნდათ, წყლის ამღვრევით მოვიდნენ და განახორციელონ თავიანთი პოლიტიკური და კრიმინალური ზრახვები. ამისათვის უკრაინას პლაცდარმად იყენებენ. ხომ ვიცით, რომ შრომის ბირჟაზე შევსებული ანკეტების საფუძველზე არ ინიშნებიან სააკაშვილის კადრები უკრაინაში მაღალ თანამდებობებზე! სხვა დანიშვნებს ახლა ვარშალომიძეც დაემატა. ვერ დავიჯერებ, რომ უკრაინაში პრეზიდენტ პოროშენკოს ადგილობრივი მრჩეველი არ მოიძებნა და ამისათვის ლევან ვარშალომიძის გამოცდილება გახდა აუცილებელი. ეს პლაცდარმი, საერთაშორისო ლობი და ჩვენი სახელმწიფოს ბიუჯეტის სახსრები (საერთოდ, დიდი ფული) კარგი ნიადაგია იმისათვის, რომ ამღვრეული წყლის ფონზე საქართველოში ვიხილოთ სააკაშვილის პოლიტიკური სხეული დესანტის სახით. ხელისუფლება გონს უნდა მოეგოს, თორემ, მალე მოვესწრებით დაბრუნებულ ნახევრად პოლიტიკურ და ნახევრად კრიმინალურ ნაცმოძრაობას, სადაც ზოგი ჰალსტუხში იქნება გამოწყობილი და ზოგს ხელში „კალაშნიკოვი“ ეჭირება. ეს რომ არ მოხდეს, საკადრო ცვლილებებიცაა საჭირო, განსაკუთრებით — ძალოვან და საერთაშორისო მიმართულების უწყებებში.

# თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, ვახტანგ ბუცხრიკიძემ, 2014 წლის შედეგები შეაჯამა

2014 წლის განმავლობაში თიბისი ბანკის ძირითადი მიღწევები ასე გამოიყურება:

- **თიბისი ბანკი გახდა №1 ბანკი საცალო ბაზარზე — ფიზიკური პირების დეპოზიტებისა და სესხების მიხედვით (33,7%-იანი წილი დეპოზიტების ბაზარზე, ხოლო 29,7%-იანი წილი სესხების ბაზარზე)**
- **განახორციელა ქართულ კომპანიებს შორის ყველაზე მსხვილი განთავსება ლონდონის საფონდო ბირჟაზე**
- **წარმატებით დაასრულა ბანკი კონსტანტას შერწყმა და გაზარდა მიკროფინანსირების პორტფელი 40 მლნ-მდე ლარით**

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2014 წლის განმავლობაში დინამიურად გაიზარდა და მაქსიმალურ შედეგს მიაღწია. კერძოდ, 2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი აქტივები გაიზარდა 5 მილიარდ 423 მილიონ ლარამდე, კლიენტებზე გაცემული სესხების ოდენობა 3 მილიარდ 706 მილიონ ლარამდე, კლიენტების ანგარიშებმა მიაღწია 3 მილიარდ 322 მილიონ ლარს, ხოლო სააქციო კაპიტალმა 1 მილიარდ 19 მილიონ ლარს.

საცალო სესხები 2014 წლის მანძილზე 38.0%-ით გაიზარდა, ხოლო საცალო დეპოზიტები 22,8%-ით. კორპორატიულ სესხებში წლიურმა ზრდამ 6,4% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებში 1,6%.

36%-იანი ზრდა იყო მცირე და საშუალო ბიზნესის სესხებში, ხოლო დეპოზიტებში 12,4%.

რაც შეეხება მიკრო სეგმენტს, ბანკი კონსტანტას შერწყმის შემდეგ მიკროფინანსირება თიბისი ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდა. შედეგად, თიბისი ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება, შეესყიდა პროკრედიტ ბანკის 40 მილიონ ლარამდე მოცულობის სასესხო პორტფელი, რაც მისცემს მას საშუალებას განვითარდეს რეგიონებში და გაზარდოს ბაზრის წილი მიკრო სეგმენტში.

2014 წელს თიბისი ბანკმა განახორციელა ქართული კომპანიის ყველაზე მსხვილი IPO (აქციების განთავსება) ლონდონის საფონდო ბირჟაზე. IPO-ს შედეგად თიბისი ბანკმა მოიზიდა 259 მლნ დოლარი და კომპანიის ღირებულება გაზარდა 640 მლნ დოლარამდე.

2014 წელს მოხდა ცვლილება თიბისი ბანკის მენეჯმენტში. სხვადასხვა მიმართულებების სამართავად თიბისი ბანკმა მსოფლიოს წამყვანი ბანკების (Barclays, Deutsche Bank, Unicredit Group) ტოპ მენეჯერები მოიწვია: გიორგი თხელიძე — რისკების მართვის დირექტორად, ნიკოლოზ ქურდიანი — მიკრობიზნესის მართვის დირექტორად, დავით წიკლაური — კორპორატიული საბანკო ბიზნესის მართვის დირექტორად.




2014 წელს თიბისი ბანკმა არაერთი აღიარება მოიპოვა სხვადასხვა პრესტიჟული უცხოური გამოცემებისგან:

**Global Finance, Euromoney, EMEA Finance da The Banker and PWM.**

თიბისი ბანკის სახით, ქართულმა ბანკმა პირველად მიიღო ჯილდო ორ კატეგორიაში: საუკეთესო პერსონალური საბანკო მომსახურება (The Banker and PWM) და საუკეთესო სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბანკი (EMEA Finance Europe Banking Awards).

2014 წელს თიბისი ბანკი აქტიური იყო სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით. ბანკმა განახორციელა რამდენიმე მსხვილი პროექტი, ტრადიციულად, კულტურისა და ხელოვნების მხარდასაჭერად. კერძოდ, ლიტერატურული პრემია „საბას“ დაჯილდოებისთვის შექმნა ექსკლუზიური პროექტი „ეპოქის ხმები“, რომელიც „ოქროს ფონდის“ ჩანაწერებზე აიგო და რომლისთვისაც ქართველმა ხელოვანებმა შექმნეს მუსიკალური ნაწარმოებები, ქორეოგრაფიული ნომრები და ორიგინალური მხატვრობა. დაჯილდოების ცერემონია იყო ერთ-ერთი გრანდიოზული „ საბას“ ისტორიაში.

2014 წელს თიბისი ბანკმა გააგრძელა მის მიერ ინიცირებული კულტურული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების დაფინანსება, მათ შორის ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“, არხი კულტურაზე „არტარეა“, ასევე დააფინანსა ქართველი ხელოვანების საზღვარგარეთ პოპულარიზაციის არაერთი ინიციატივა და შექმნა თანამედროვე ხელოვანთათვის თავისუფალი არტ სივრცე, პირველი „არტ კედელი“ ქალაქში. ამავე წელს პირველად საქართველოში, თიბისი ბანკის სახით, კერძო ბიზნესი ჩაერთო კინოს დაფინანსებაში და კინოცენტრთან ერთად განხორციელდა ერთობლივი პროექტი.

# მანანა ნაჭყებია: ივანიშვილს მართლა ჰგონია, რომ ხალხი კარგად ცხოვრობს!“

## „მისმა გამოსვლამ შემაშფოთა!“

შორენა გონგლაძე

— როგორც ჩანს, ივანიშვილი მართლა დარწმუნებულია, რომ ხალხი კარგად ცხოვრობს და მას ბანკირის რჩევები სჭირდება. როგორ გინდა გააგებინო ხალხის გაჭირვება მთავრობასა და მის არაფორმალურ მმართველს? ისინი რეალობას ასცდნენ. — ამის შესახებ განცხადება „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, მანანა ნაჭყებიამ, 31 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

მანანა ნაჭყებიამ ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა შეაფასა და განაცხადა, რომ ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადებებით შეშფოთებულია.

**მანანა ნაჭყებია:**

— მისმა გამოსვლამ შემაშფოთა. პირველი, რაც ვიგრძენი, იყო ის, რომ ქვეყანაში არ არსებობს არც ორგანო და არც არაფორმალური მმართველი, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს თავის თავზე. ინტერვიუმ აჩვენა, რომ ივანიშვილი მართავს სახელმწიფოს და დღეს მას უსტატუსობა იმისთვის სჭირდება, რომ პასუხისმგებლობა არ აიღოს. ხელისუფლება კომფორტულად გრძნობს თავს იმიტომ, რომ როდესაც დადგება პასუხისმგებლობის დრო, ხელს გაიშვერს ბიძინა ივანიშვილისკენ.

მანანა ნაჭყებია ბანკირის თემასაც შეეხო:

— ივანიშვილს ჰგონია, რომ საზოგადოება არის ძალიან დალხენილი. მან მოგვიწოდა, დავიქირაოთ სპეციალისტები და მათი მეშვეობით ვმართოთ ჩვენი ფინანსური რესურსები. ალბათ, ბატონ ბიძინა ივანიშვილს გაუკვირდება, რომ არავითარი სამართავი რესურსები საქართველოს არ გააჩნია, პირიქით, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თვიდან თვემდე ცდილობს, ეყოს ის ძალიან მწირი შემოსავალი, რომელიც მას აქვს. აქედან გამომდინარე, მე გამიჩნდა განცდა, რომ ივანიშვილისთვის მთავარი არ არის საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობა. სააკაშვილი როგორღაც ახერხებდა ნიანგის ცრემლებით თუ პიარით ეთქვა, რომ საქართველოს მოსახლეობას უჭირდა, მაგრამ ნაკლებად დგამდა ნაბიჯებს ამის გამოსასწორებლად. ივანიშვილმა სიტყვაც კი არ დაძრა იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი.



მანანა ნაჭყებიამ ივანიშვილის მიერ ლარის კურსთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზეც გაამახვილა ყურადღება:

— ასევე არაადეკვატური იყო მისი გამოსვლა ლარის კურსთან დაკავშირებით, როდესაც მან განაცხადა, რომ ეს მხოლოდ გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული და არაფერი სჭირს ლარს. მაშინ რატომ ვიბარებთ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს საქართველოს პარლამენტში? თუ ლარის კურსისვარდნამ გავლენა არ მოახდინა მოქალაქეებზე, მაშინ რატომ საუბრობს ჯანდაცვის მინისტრი სერგეენკო მედიკამენტების გაძვირებაზე ლარის კურსიდან გამომდინარე და რატომ ამბობს, რომ მთავრობას გადასადგმელი აქვს ნაბიჯები, რომ მდგომარეობა დაბალანსდეს ამ კუთხით? ივანიშვილი იტყუება თუ ინფორმაცია არ აქვს?

მანანა ნაჭყებიამ ივანიშვილის მიერ დაანონსებულ კომპენსაციების გაცემაზეც ისაუბრა:

— ივანიშვილმა დააანონსა თებერვალში იმ ადამიანებისთვის კომპენსაციების გაცემა, რომლებმაც ქონებრივი ზარალი განიცადეს ნაციონალების პირობებში და ამბობს, რომ ამისთვის გამოყოფილია დაახლოებით მილიარდი. როგორ შეიძლება, ადამიანებს ამის კომპენსაცია გადაუხადო? ერთადერთი გზა არის, რომ ჩაიდოს ბიუჯეტში თანხა და იქიდან გაიცეს, მაგრამ ვიცით, რომ ბიუჯეტში ეს თანხა არ დევს, ვიცით, რომ ბოლომდე არ არის გამოძიებული საქმეები და როგორ იწყება თებერვლიდან ეს პროცესი, გაუგებარია. მერწმუნეთ, იმ დღეს, სანამ ეს ინტერვიუ გავიდოდა, პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის ნებისმიერი წევრისთვის რომ გეკითხათ, თებერვლიდან თუ იწყებდნენ კომპენსაციების გაცემას, ასეთ პასუხს ვერ მიიღებდით, რადგან ისინი საქმის კურსში არ იქნებოდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს არაფორმალური მმართველი, ბიძინა ივანიშვილი, რომელიც გაექცა პასუხისმგებლობას.

მანანა ნაჭყებია ივანიშვილის მიერ არასამთავრობოების კრიტიკასაც შეეხო.

— არასამთავრობო სექტორის მიმართ ბიძინა ივანიშვილმა გაუგონარი რამ განაცხადა და თქვა, რომ კოჟორიძის, ლომჯარიასა და გიგაურის საქმიანობას შეისწავლის და გამოააშკარავებს. ძნელად წარმომიდგენია, როგორ შეიძლება მათი გამოაშკარავება. თუ ამ ადამიანებს სისხლის სამართლის დანაშაული აქვთ ჩადენილი, ეს რა ივანიშვილის საქმეა?! ამისთვის არსებობენ სათანადო ორგანოები და გამოიძიონ. მაგრამ, თუ ივანიშვილი მათი სახის წარმოჩენაში იმას გულისხმობს, რომ ისინი ნაციონალური მოძრაობის დამქაშები არიან, ამას ნაკლებად დაიჯერებს ვინმე, რადგან, როდესაც მე ვიყავი ნაციონალური მოძრაობის ოპოზიცია, ძალიან ხშირად ვგრძნობდი ამ არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერას. მათ ყოველთვის ჰქონდათ ობიექტური პოზიცია და ისინი ისევე აკრიტიკებდნენ ნაციონალურ მოძრაობას, როგორც აკრიტიკებენ დღეს „ქართულ ოცნებას“. — განაცხადა ნაჭყებიამ.

მანანა ნაჭყებიას აზრით, ივანიშვილი ამ ინტერვიუთი ხმალამოღებული იცავდა თავის მთავრობას.

— ივანიშვილი გააკრიტიკებს პრეზიდენტს, ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც მისთვის არ არიან მისაღები, ასევე გააკრიტიკებს მისთვის მიუღებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ეცდება, შექმნას მისთვის მისაღები არასამთავრობო ორგანიზაციები, დააფინანსოს და ხელი შეუწყოს. ასევე გააკრიტიკებს ექსპერტებს, რომლებიც არ მოსწონს და სასათბურე პირობებს შეუქმნის მათ, ვინც მას გუნდრუკს უკმევენ, — განაცხადა მანანა ნაჭყებიამ.

# სანდრო ბრეგაძე: თუ სამართლიანობა არ აღდგა, ჩემს თავს ხელისუფლებაში ვერ ვხედავ!“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ და სამართლებრივ პროცესებს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ეხმიანება.**

**სანდრო ბრეგაძე:**

— დღეს ის ადამიანები, რომლებსაც სურთ ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის არევა, ყოველგვარ ზღვარს გადავიდნენ. ამის ნათელი დადასტურებაა იური ვაზაგაშვილზე განხორციელებული ტერორისტული აქტი. ჩემთვის ეს იყო ძალიან მძიმე დარტყმა, არა მარტო პიროვნულად, ბატონ იურისთან ჩემი მეგობრობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ეს არის ერთგვარი გამოწვევა საქართველოს ხელისუფლების მიმართ და საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს ამ გამოწვევის მიღება და ჩაბარება. იური ვაზაგაშვილზე განხორციელებული ტერაქტი, არ იყო კონკრეტულად ერთი პირის წინააღმდეგ მიმართული ტერაქტი.

***— რას ისახავდა მიზნად ეს ტერაქტი?***

— ეს იყო პროპაგანდისტული ტერაქტი, რათა მომხდარიყო იმ ადამიანების დაშინება, რომლებიც სამართლიანობისთვის იბრძვიან, რომლებმაც ჩვენებები უნდა მისცენ გარკვეულ ფაქტებთან დაკავშირებით და რომლებიც დაკავებულები არიან იმ საქმეების გამოძიებით და გამოკვლევით, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა. დღეს ვიღაცებს სურთ, რომ ეს კრიმინალურ აქცენტში გადაიტანონ, მაგრამ ეს არ არის კრიმინალური, ეს არის პოლიტიკური აქტი, რომელიც მიმართულია ქართული სახელმწიფოს, დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ. ქართული პოლიტიკურ რეალობა დაიყო ორ ნაწილად — 2012 წლის ოქტომბრიდან იმ პერიოდამდე როდესაც იური ვაზაგაშვილი მოკლეს და შემდგომი ეტაპი ამ საშინელი დღის შემდეგ დაიწყო. ბევრად უფრო სხვა პროცესები წავა ქვეყანაში, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პროცესები იქნება და ბევრად უფრო მალე მოხდება ყველა იმ სამართლიანი პროცესის განვითარება, რომელიც ვითარდება და უნდა განვითარდეს ჩვენს ქვეყანაში. ეს იყო შიშის დანერგვის მცდელობა. უახლოეს მომავალში აუცილებლად გამოძიებული იქნება ეს ფაქტი, რაც საზოგადოებას ერთხელ და სამუდამოდ მისცემს იმის საშუალებას, რომ შავს დაერქვას შავი, ხოლო თეთრს დაერქვას თეთრი.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ნაციონალების კვალი გამოიკვეთება ამ საქმეში?***

— მე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს, ბევრად უფრო მეტი ვალდებულება მაკისრია ჩემ მიერ გამოთქმულ ფრაზებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მე ჩემს გონებაში შეიძლება 100%-ით ვიყო რაიმეში დარწმუნებული, მაგრამ სანამ გამოძიება არ გავა დამნაშავეთა კვალზე და არ დაისჯებიან დამნაშავეები, მე თავს შევიკავებდი კონკრეტულად რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფზე ან პიროვნებაზე ხელისდადებისგან. თუმცა მინიშნებას გავაკეთებ, რომ ეს ტერაქტი იმართებოდა და იმართება იმ ძალებისგან, რომლებიც ქვეყანაში გეგმავენ დესტაბილიზაციას და ცდილობენ, პოლიტიკური სისხლიანი რევანშის მეშვეობით დაიბრუნონ ის პრივილეგიები, რომლებიც მათ ჰქონდათ.

***— კოლმეურნეობის თავმჯდომარის გვარს არ დავასახელებ, ზუსტად ისე გამოგივიდათ...***

— ალბათ, ჩემი ამ ფრაზების შემდეგ მიმხვედრი მიხვდება და ყველა გამოიტანს ლოგიკურ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რა მინიშნებას ვაკეთებ და რას ველი იმ გამოძიებისგან. მე არ გამოვრიცხავ, რომ არეულობის პროვოცირების მცდელობები კიდევ იყოს. მე არაერთხელ მითქვამს, რომ ჩანასახშივე უნდა მოხდეს ყველანაირი დესტაბილიზაციის და არეულობის მცდელობის აღმოფხვრა, თორემ მერე საკმაოდ ძნელი იქნება. ხელისუფლება გაართმევს ამას თავს და შეძლებს, ქვეყანაში შენარჩუნდეს ის სტაბილური სიტუაცია, რაც დღეს გვაქვს.

***— რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდოთ და რას ფიქრობთ ბიძინა ივანიშვილის შეფასებებზე?***

— ბიძინა ივანიშვილის შეფასებები თავიდან ბოლომდე მისაღებია ჩემთვის. ბატონმა ბიძინამ ილაპარაკა იმის თაობაზე, რაც ჩემს გონებაშია. მისი შეფასებები იყო ცალსახა და მან კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის პოლიტიკაში არ არის და საზოგადოებრივ სექტორშია, საზოგადოებრივი სექტორიდან ზრუნავს მის ქვეყანაზე და გული შესტკივა. ეს ადამიანი აზროვნებს ქართულად, ეროვნულად. ის ფიქრობს, რომ საქართველო უნდა განვითარდეს დამოუკიდებელი პოლიტიკური და ეკონომიკური გზით, რომელიც დამყარებული იქნება იმ საერთო ეროვნულ ფასეულობაზე, რომლებიც ცივილიზებული სამყაროსთვის მისაღებია. ბევრი ცდილობს, რომ საქართველო წარმოაჩინოს ჩამორჩენილი პოლიტიკური თუ სოციალური კულტურის მატარებელ ერად, მაგრამ ჩვენ ვართ საკმაოდ დიდი კულტურის მატარებელი ერი და საკმაოდ დიდი პოტენციალი გვაქვს და ძალიან ბევრი რამ შეგვიძლია შევმატოთ ევროპულ ცივილიზაციას. საქართველო არ უნდა იყოს მაჩანჩალა, მიბმული ქვეყანა, რომელიც ერთგვარად ხელგაწვდილი მათხოვარი იქნება რომელიმე ორგანიზაციის ან ქვეყნის მიმართ. საქართველო უნდა იყოს სრულუფლებიანი პარტნიორი და საქართველოს მისია უნდა იყოს, რომ წვლილი შეიტანოს ევროპული დემოკრატიის განვითარებაში.



***— დღეს დემოკრატიაა ჩვენს ქვეყანაში?***

— ამ მხრივ იდეალური სიტუაციაა და ვერავინ იტყვის, რომ საქართველოში რაიმე სახით დემოკრატიული პრინციპები ირღვევა. რაც ყველაზე მთავარია, აბსოლუტურად თავისუფალია მედიასივრცე. სუპერ დემოკრატიულიც კი არის მედიასივრცე. დღეს მედიის დიდი ნაწილი ნაციონალური მოძრაობის ხელშია. ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი ძალის ხელში, ხოლო ხელისუფლების ხელში არ არის არც ერთი ელექტრონული ან ბეჭდური მედია.

***— უნდა გავაწყვეტინოთ, ამ მიღწევებზე ბევრს საუბრობთ, მაგრამ სოციალური ფონი, ეკონომიკური მდგომარეობა, სამართლიანობის აღდგენა, ეს ის უმნიშვნელოვანესი და მთავარი თემაა, რაზეც დიდი უკმაყოფილებაა საზოგადოებაში.***

— ჩვენ შეგვიძლია, რომ სოციალური ფონი, იგივე ეკონომიკური მდგომარეობა, სწრაფი ტემპით და ქირურგიული ჩარევით უცებ გავაუმჯობესოთ. რითი? მკაცრი ადმინისტრირებით. ჩვენ თუ დავიწყეთ იგივე მეთოდებით მუშაობა, როგორც მუშაობდნენ ნაციონალები, როდესაც მათ ტერორში ჰყავდათ ბიზნესი და ადამიანებს აიძულებდნენ, რომ ძალადობის გზით ბიუჯეტში გადაერიცხათ თანხები, შეიძლება ეკონომიკური ფონი დროებით უცებ გაუმჯობესდეს, მაგრამ დემოკრატიული პრინციპები თავიდან ბოლომდე დაირღვევა. არ შეიძლება ოცი წლის დანგრეული ქვეყანა ორ წელიწადში გახდეს შვეიცარია! ყველაზე მთავარი რაც არის ეკონომიკის განვითარებისთვის, ბიზნესი უნდა იყოს თავისუფალი. დღეს ბიზნესი თავისუფალია. არავინ ეხება არც ერთ ბიზნესს. საკმაოდ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონია მთელ მსოფლიოში. ეკონომიკური კრიზისია. განვითარება შედარებით შეფერხებულია. მე უფრო ხელოვნურად დაძაბული მგონია ეს ყველაფერი. მე მილიონერი ოჯახის შვილი არა ვარ. ჩემი ოჯახი საშუალო ფენას წარმოადგენს და ჩემს ოჯახში ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუარესებულა, არის ის, რაც იყო. მეც ისე მიჭირს, როგორც უჭირს ჩემი ქვეყნის მოსახლეობას, მეც ისევე მიჭირს გადასახადების გადახდა, როგორც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას. კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ იმ ეკონომიკური ფონით, რაც ქვეყანაშია, თუმცა ამავდროულად ვხედავ იმ ტენდენციებს და ვსაზღვრავ იმას, რომ არ შეიძლება ერთ და ორ წელიწადში ოცი წლის დანგრეული აშენდეს. ეს მტკივნეული და გრძელი პროცესია, რომელიც უნდა წავიდეს.

***— სამართლიანობის აღდგენაზე რაც იტყვით?***

— ხელისუფლების შესაბამისმა სტრუქტურებმა, გაათმაგებული ტემპებით უნდა მოახდინონ სამართლიანობის პროცესის ისე შესრულება და აღსრულება, რომ ქვეყანაში ყველა ადამიანმა იგრძნოს, რომ ჩვენ გვაქვს სამართლის განცდა. უშეცდომო არც ერთი ხელისუფლება არ არის და არც ჩვენი ხელისუფლება შეიძლებოდა ყოფილიყო უშეცდომო. მე კიდევ მაქვს იმის რწმენა, რომ ეს ყველაფერი გამოსწორდება. დარწმუნებული ვარ, რომ სამართლიანობა აღდგება, ხოლო თუ ქვეყანაში სამართლიანობა არ აღდგა, მე ჩემს თავს ვერ ვხედავ ხელისუფლებაში და ეს არის ჩემი პრინციპული პოზიცია. სამართლიანობა უნდა აღდგეს, მაგრამ უნდა აღდგეს დემოკრატიული პრინციპების დაცვით. ისე არ უნდა მოვიქცეთ, როგორც ნაციონალები იქცეოდნენ, ჯერ დავიჭიროთ ადამიანები და მერე დავიწყოთ იმაზე ფიქრი, როგორ დავუმტკიცოთ დანაშაული. ეს იქნება იგივე მეთოდებით მუშაობა, როგორითაც ნაციონალები მუშაობდნენ. მაშინ რა სხვაობა იქნება ჩვენ შორის?!

## გიორგი მარგველაშვილი პარლამენტში წლიურ ანგარიშს 18 ან 20 თებერვალს წარადგენს

პრეზიდენტი პარლამენტში ანგარიშით, სავარაუდოდ, 18 ან 20 თებერვალს წარდგება. ამის შესახებ ინფორმაცია 31 იანვარს, კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომის შემდეგ გახმაურდა.

გიორგი მარგველაშვილი ყოველწლიურ ანგარიშს დეპუტატებს უკვე მეორედ წარუდგენს.

როგორი იქნება პრეზიდენტის გამოსვლის ფორმატი და გაიმართება თუ არა დებატები, ამ დრომდე უცნობია.

არსებული ინფორმაციით, საგაზაფხულო სესიის ფორმატში მუშაობას პარლამენტი 3 თებერვალს ბიუროს სხდომით განაახლებს. დღის წესრიგშია პირების არჩევა ცესკო-ს ვაკანტურ ადგილებზე და ასევე, უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარის არჩევის საკითხი.

ნიუსპრესი

# ბიზნესმენი კახა კვიციანი ლეონარდო დევდარიანს პასუხობს

რამდენიმე დღის წინ გაზეთში „ქრონიკა“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს ასლან აბაშიძის მმართველობისას, თბილისში აჭარის საგანგებო დავალებათა ელჩთან, ბოლო დრომდე თბილისის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანამშრომელთან, ლეონარდო დევდარიანთან, ბიზნესმენმა (წარსულში მესტიის მაჟორიტარმა დეპუტატმა) კახა კვიციანმა განცხადებით უპასუხა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

„ვწუხვარ, რომ საჯარო გამოხმაურება მიხდება ჩემი და ჩემი ოჯახის ყოფილი მეგობრის, ლეონარდო დევდარიანის ცილისწამების გამო. საჯარო სივრცეში კამათი არ არის ჩემი ხასიათის თვისება, მაგრამ ამ ადამიანმა (კაცს, მას ვეღარ ვუწოდებ) მეგობრობის, ნათესაობის, პარტნიორობის ყველა ზღვარი წაშალა უსამართლოდ მლანძღა ერთ-ერთი გაზეთის, კერძოდ „ქრონიკა“-ის ფურცლებიდან.

საჯარო გამოსვლები არ მჩვევია. ვარ ბიზნესმენი, მრავალი წელი მიმუშავია სახელმწიფო სტრუქტურებშიც. ყველგან, სადაც ვიყავი ვაკეთებდი საქმეს, ვქმნიდი პროდუქტს და ამით ვიყავი კმაყოფილი და ამით ვარ, პირველ რიგში, მართალი საკუთარ თავთან, საკუთარ ოჯახთან და ქვეყანასთან.

მე მედია-ექსპერტად ვერ გამოვდგები, თუმცა მიმაჩნია, რომ როცა ესა თუ ის გამოცემა ამა თუ იმ პიროვნებისგან ინტერვიუს იღებს, სადაც სხვა პიროვნებაა გალანძღული, უბრალო კანონზომიერება და წესია, რომ იმ პიროვნებასაც ჰკითხო აზრი და ჩამოართვა კომენტარი საკითხთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, დევდარიანმა მისთვის ჩვეული დემაგოგიით შეძლო და გაზეთის რედაქციაც შეცდომაში შეიყვანა.

არაუშავს. ამ ამბავს მხოლოდ იმით ეშველება, რომ მე დაინტერესებულ საზოგადოებას ჩემი პოზიცია და სიმართლე, რომელიც ყოველთვის ერთია, საჯარო განცხადებით გავაცნო.

საქმე ის არის, რომ ლეონარდო დევდარიანი ცდილობს, ამ მედია-ხმაურით გავლენა მოახდინოს სასამართლო პროცესზე, რომელიც მის საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს და ამით მაიძულოს უარი ვთქვა ჩემსავე კომპანიაში, ჩემსავე კანონიერ ინტერესებზე და დაშანტაჟებულმა ვაჩუქო მას ის, რასაც თაღლითობით დაეპატრონა. კერძოდ, 2013 წლის დასაწყისში, დევდარიანმა, ჰქონდა რა ინფორმაცია, რომ ჩემს კომპანიას ამოწმებდა ფინანსური პოლიცია, მომმართა და შემომთავაზა, რომ კომპანიაში ჩემი წილი მისთვის დამეთმო და მარწმუნებდა, რომ როცა ჩემი გვარი აღარ იფიგურირებდა კომპანიის მეწილეთა შორის და ის იქნებოდა კომპანიის სახე, თავისთავად ასცილდებოდა კომპანიას პრობლემები. ხოლო, შემდგომში, შემოწმებების დასრულების შემდეგ უპრობლემოდ დააბრუნებდა წილს.

ჩვენს მოლაპარაკებას ესწრებოდა რამდენიმე ჩვენი საერთო მეგობარი, ნათესავი და ახლობელი, რომლებიც ყველა დონეზე ადასტურებენ მოყვანილი ფაქტის სიზუსტეს და იმასაც, რომ ჩემი პირველივე მოთხოვნისთანავე, დევდარიანს უკან უნდა დაებრუნებინა დროებით გადაფორმებული წილი.

შემდგომში კი ხდება ის, რომ დევდარიანი, ნაცვლად მეგობრული პირობის შესრულებისა, შედის ურთიერთობაში რამდენიმე ცნობილ პიროვნებასთან, რომელთა სახელებსაც მე ახლა არ ვასახელებ. ლეონარდო და მისი ამფსონები კომპანიისთვის პრობლემების შექმნის მიზნით აყალბებენ პარტნიორთა კრების ოქმს და იღებენ გადაწყვეტილებას კომპანიის გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ (დიდი ალბათობით, ეს რომ გასვლოდათ, შემდგომში კომპანიის აქტივებს, რაც საკმაოდ მოცულობითი უძრავ-მოძრავი ქონებაა, იოლად დაყიდიდნენ და ჩაიგდებდნენ ხელში). სწორედ ამ ფაქტზეა აღძრული სისხლის სამართლის საქმე და სწორედ ამას განიცდიან ბატონები, ლეონარდო დევდარიანის თავკაცობით.

დევდარიანმა წილის არდაბრუნება ახსნა იმით, რომ თითქოსდა მესტიის რაიონში ერთ-ერთი სახელმწიფო ტენდერი მოაგებინა კომპანიას და ამისთვის მას თითქოსდა კუთვნილი ბონუსი არ გადაუხადეს. რა თქმა უნდა, ასეთი ფაქტი ბუნებაში არ მომხდარა და ვერც მოხდებოდა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საყოველთაოდაა ცნობილი, — სახელმწიფო ტენდერები ელექტრონულად ტარდება და იმარჯვებს დაბალი ფასი. კომპამიამ კი იმ კონკრეტულ შემთხვევაში გაიმარჯვა მხოლოდ იმიტომ, რომ შეძლო და დამკვეთს გამოცხადებულთან შედარებით 3 მლნ ლარით ნაკლები ფასი შესთავაზა.

იყო კიდევ ერთი ფაქტიც, რომელიც საზოგადოებას კარგად გააცნობს ლეონარდო დევდრიანის ნამდვილ ბუნებას. როდესაც მან დაჟინებით განაცხადა, რომ კომპანიიდან გაკეთებული საქმის სანაცვლოდ რაღაც ერგებოდა, მას შევთავაზეთ, რომ ჩვენ-ჩვენი სიმართლე, სვანური ტრადიციის თანახმად, ხატზე დაფიცებით დაგვემტკიცებინა. დევდარიანმა ორი კაციც კი ვერ იპოვნა, ვინც მის სიმართლეს ხატის წინაშე მასთან ერთად დაფიცებით გაიზიარებდა.

მოკლედ და მარტივად რომ ითქვას, ლეონარდო დევდარიანი სოლიდური სარგებელის მიღების მიზნით, ურცხვად წავიდა შანტაჟზე. ამ ფაქტის გამო, მეტი გზა რომ აღარ დატოვა, ჩვენმა მხარემ სასამართლოს მიმართა და შესაბამისი პროცესი მიმდინარეობს კიდეც. უახლოეს ხანში, ჩვენი მხარე შესაბამისი საჩივრით პროკურატურისთვისაც გეგმავს მიმართვას.

რამდენადაც მე აღარ ვაპირებ ლეონარდო დევდარიანთან პირადი ურთიერთობის გაგრძელებას (საქმიანზე ხომ, საუბარიც ზედმეტია), ამ ფორმით ვეტყვი მას, რომ ყველა მისი მცდელობა, დამაშანტაჟოს, განწირულია და მისთვისვე სჯობს, თავდახრით დააბრუნოს ის, რაც მას არ ეკუთვნის და კაცისთვის, ადამიანისთვის შეუფერებელ საქციელს ნუღარ განაგრძობს. იქნებ ასე, რაღაც დონეზე მაინც, სახე შეინარჩუნოს და დარჩეს ადამიანად. სხვა შემთხვევაში, მე არ მგონია, რომ ადამიანს, რომელიც არც სიტყვის პატრონია, არც თავისი კუთხის ადათ-წესებს დაგიდევთ რამეს და ორი ადამიანიც კი ვერ უპოვია, ვინც მის სიმართლეებს დაადასტურებს, ამ ქვეყანაზე შერჩეს ხელისჩამომრთმევი და გამარჯობის მთქმელი ხალხი. თუმცა, ეს მისივე არჩევანია.

ამ გამოხმაურებით მე ვამთავრებ ურთიერთობას ლეონარდო დევდარიანთან და მისი მხრიდან შანაჟისა და ცილისწამების გაგრძელების შემთხვევაში, მხოლოდ სამართლებრივ სივრცეში შევხვდები, როგორც მას, ისე მისსავე ამფსონებს“, — წერს ბიზნესმენი კახა კვიციანი თავის განცხადებაში.

მედიცინა

# „რევმატიზმი ლოკავს სახსრებს და კბენს გულს“



რევმატიზმი ერთ-ერთი უძველესი დაავადებაა. ჩინურ სამედიცინო წყაროებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4.000 წლის წინ რევმატოიდული ართრიტის მკურნალობის მეთოდებია აღწერილი. ჰიპოკრატე მას ახალგაზრდულ დაავადებას უწოდებდა. დაავადების სახელწოდების ავტორი რომაელი ექიმი გალენია.

საუკუნეების განმავლობაში რევმატიზმი მხოლოდ სახსრების დაავადებად იყო მიჩნეული. მის მიერ გამოწვეული გულის პათოლოგიები მხოლოდ მე-18 საუკუნეში დააფიქსირეს.

რევმატიზმი ორგანიზმის ინფექციურ-ალერგიული დაავადებაა, რომლის დროსაც ანთებით დაზიანებებს მთელი ორგანიზმის შემაერთებელი ქსოვილი განიცდის. დაავადების დროს, პირველ რიგში, გული და სისხლძარღვები ზიანდება. დაავადება შეიძლება ყველა ასაკში გამოვლინდეს. რევმატიზმის პირველი შეტევა ძირითადად 7-15 წლის ასაკში ვლინდება, ხოლო 3 წლამდე ან 45 წლის ზემოთ დაავადება იშვიათია.

რევმატიზმი ორგანიზმის შემაერთებელი ქსოვილის სტრუქტურულ რღვევას იწვევს, რაც საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე ხდება შემაერთებელი ქსოვილის ძირითადი სტრუქტურის დეზორგანიზაცია — კოლაგენური ბოჭკოები იჯირჯვება და იწყება ქსოვილის ცილოვანი გადაგვარება. მეორე სტადიაში ვითარდება რევმატული მეჭეჭები — გრანულომები. მესამე სტადიაში შემაერთებელი ქსოვილის დაზიანებული უბანი იჭმუხნება, ნაწიბურდება და ვითარდება სკლეროზი. დაავადების ეს პროცესი 6-7 თვე მიმდინარეობს. რევმატიზმის დროს პირველ რიგში ზიანდება გული და სახსრები. გულის კუნთის ბოჭკოების ნაწილი იღუპება, მათ ადგილზე ჩნდება შეკუმშვის უნარს მოკლებული შემაერთებელი ქსოვილი. ეს კი აქვეითებს გულის შეკუმშვის ძალას. იგი ფუნქციურად სუსტდება.

გული ოთხკამერიანი ღრუ ორგანოა. კამერებს შორის მოთავსებულია სარქველები. რევმატიზმის დროს სარქველები იჭმუხნებიან, პატარავდებიან და სათანადოდ ვერ ფარავენ ხვრელს. ასე ვითარდება სარქველთა უკმარისობა. სკლეროზული პროცესი ხელს უწყობს სარქველთა თავისუფალი კიდეების შეხორცებას, ხვრელის შევიწროვებას. ამ დაზიანებას სტენოზი ეწოდება.

რევმატიზმს თითქმის ყველა ორგანოს დაზიანება შეუძლია. ბავშვთა ასაკში რევმატიზმი უფრო მწვავედ მიმდინარეობს. დაავადებას არ ახასიათებს ტიპიური, სპეციფიური გამოვლინება. ზოგჯერ ძალიან ჩუმად მიმდინარეობს. ზოგჯერ რევმატოიდულ შეტევას წინ უსწრებს ანგინა, ფარინგიტი, ქრონიკული ტონზოლიტის (გლანდების) გართულება, რასაც ხშირად დიდი ყურადღება არ ექცევა. რამდენიმე კვირის შემდეგ ტემპერატურა მაღლა იწევს, ძლიერდება ოფლიანობა, სისუსტე, უმადობა. სისხლში მომატებულია ლეიკოციტები, ჩქარდება ერითროციტების დალექვა, რაც სისხლის საერთო ანალიზში ნათლად ჩანს (მომატებულია ედს, ე.წ. „როე„).

რევმატიზმის დროს ძირითადად მსხვილი სახსრები ზიანდება. სახსარი შესიებული, შეწითლებული, ხელის შეხებით მტკივნეულია. მოძრაობა შეზღუდულია. ანთებითი პროცესი შეიძლება ერთ სახსარში ჩაცხრეს, მაგრამ მალევე იჩინოს თავი მეორე სახსარში. ეს უკვე ჩამოყალიბებული პოლიართრიტია, რომელსაც სრული უკუგანვითარებაც — სახსრის დაზიანების უკვალოდ გაქრობა ახასიათებს. მაგრამ ანთებითი პროცესი სახსრის დაზიანების გარეშე იშვიათად გაივლის. ზოგჯერ, მკურნალობის მიუხედავად, სახსარი დეფორმაციას განიცდის. სახსრის ჩაწყნარება სულაც არ ნიშნავს დაავადების განკურნებას, ამიტომ მკურნალობა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

რევმატიზმით დაავადებისას გული აუცილებლად ზიანდება. ერთ-ერთი მეცნიერი ასე ახასიათებს დაავადებას: „რევმატიზმი ლოკავს სახსრებს და კბენს გულს“. დაავადების დროს გული ორგანულად ზიანდება, ხშირად გულის კუნთი და შიდა გარსები ერთდროულად ზიანდება.

გულის კუნთის ანთებას ან მიოკარდიტს დაზიანების მხრივ მრავალფეროვნება ახასიათებს. მძიმე ფორმის დროს დამახასიათებელია ქოშინი, ციანოზი (სილურჯე), გულის გაგანიერება, აჩქარებული და სუსტი მაჯა, გულის ტონები მოყრუებულია, ხშირია არიტმია. ირღვევა სისხლის მიმოქცევა. სწრაფი რეაგირების გარეშე შეიძლება სავალალო შედეგი მივიღოთ.

საშუალო სიმძიმის მიოკარდიტის დროს ავადმყოფს აწუხებს გულის ფრიალი, მცირე ფიზიკური დატვირთვის დროს — ადვილად დაღლა, პულსის აჩქარება. არტერიული წნევა ქვეითდება. დამახასიათებელია ხანგრძლივი, მაგრამ ყრუ ხასიათის ტკივილი გულის არეში. გულის კუნთის ასეთი ანთებითი პროცესი ძირითადად მოზრდილთა ასაკშია ხშირი. პროცესის ჩაცხრობის შემდეგ გულზე დაავადების კვალი რჩება. გულის კუნთის ბოჭკოების ადგილზე ჩნდება შეკუმშვის უნარს მოკლებული შემაერთებელი ქსოვილი, ასე ყალიბდება მიოკარდიტული კარდიოსკლეროზი.

შედარებით მსუბუქად მიმდინარეობს ე.წ. კეროვანი მიოკარდიტი. ამ დროს გულის კუნთის ცალკეულ უბანში მიმდინარეობს ანთებითი პროცესი. ავადმყოფს ხანდახან აღენიშნება გულის არეში უსიამოვნო შეგრძნება, მსუბუქი არიტმია. ამ დროს სისხლის მიმოქცევის უკმარისობა არ ვითარდება, შესაბამისად, ავადმყოფის საერთო მდგომარეობაც ჩვეულებრივია.

რევმატიზმის დროს ზიანდება გულის კუნთის შიგნითა გარსი, ენდოკარდიუმი, რის შედეგადაც ყალიბდება გულის მანკი. თუ დროულად იქნა გამოვლენილი რევმატიზმი, სათანადო მკურნალობის ჩატარებისას გულის რევმატული მანკის ჩამოყალიბება იშვიათია.

ენდოკარდიტისთვის დამახასიათებელია ე.წ. „გულის შუილები„, თუმცა, ისინი ყოველთვის არ მიუთითებს გულის ორგანულ დაზიანებაზე. დღეისთვის გულის რევმატიული მანკის მკურნალობაც არ წარმოადგენს დიდ პრობლემას. ყველაზე მძიმე შემთხვევაშიც კი ოპერაციული ჩარევით დაზიანებული სარქველების აღდგენა შესაძლებელია.

რევმატიზმი შედარებით იშვიათად აზიანებს გულის გარეთა გარსს — პერიკარდიუმს, მაგრამ ხშირად ზიანდება გულის მკვებავი არტერიებიც. მათ დაზიანებას რევმატული კორონარიტი ეწოდება. სისხლძარღვის ანთებითი გასქელება იწვევს არტერიის სანათურის შევიწროვებას. გულის კუნთის სისხლით მომარაგება მცირდება. ეს კი სტენოკარდიული შეტევის მიზეზი ხდება. რევმატული კორონარიტი 15-20 წლის ასაკში ხშირია და ძირითადად ვაჟებს ემართებათ.

არტერიის კედლის ანთებით დაზიანებას ზოგჯერ სისხლძარღვის სანათურის თრომბით დაცობა ერთვის თან, რის შედეგადაც გულის ინფარქტი ვითარდება.

არ არის გამორიცხული, რევმატიზმმა შინაგანი ორგანოები და ცენტრალური ნერვული სისტემა დააზიანოს. საკმაოდ ხშირად ზიანდება ღვიძლი. დაავადებულ ბავშვებს ღვიძლი საგრძნობლად გადიდებული აქვთ. ბავშვებს კანზე გამონაყარიც უჩნდებათ. იგი ვარდისფერ-მოწითალო ან იისფერ რგოლებს წარმოადგენს. გამონაყარი ვითარდება ლოყებზე, კისერზე, გულმკერდსა და მუცელზე. ასეთ გამონაყარს რგოლისებური ერითემა ეწოდება. გამონაყარი სწრაფად ჩნდება და რამდენიმე დღის შემდეგ უკვალოდ ქრება. რგოლისებური ერითემის გაჩენა ახასიათებს რევმატიზმის ისეთ ფორმას, როცა გული ზიანდება.

რევმატიზმზე მოსახლეობას არასწორი წარმოდგენა აქვს და ბევრს იგი მხოლოდ სახსრების დაავადება ჰგონია. თუ ოდნავ მაინც შეამჩნიეთ სახსრების უჩვეულო ტკივილი, თვითმკურნალობას ნუ მიმართავთ, თავისით არ განიკურნება. შეიძლება გულის სერიოზული დაავადებები მოჰყვეს. დიდი ყურადღება მიაქციეთ სასუნთქი გზების ანთებით პროცესს, ანგინას. ხშირად ეს დაავადებები სტრეპტოკოკული ბუნებისაა და რევმატიზმის წინაპირობას წარმოადგენს.

უნდა გვახსოვდეს, რომ გახანგრძლივებული მცირე სიცხიანობა, უმნიშვნელო ოფლიანობა, საერთო სისუსტე არ უნდა მივაწეროთ გახანგრძლივებულ გრიპს, გაციებას და სხვა გაურკვეველ მიზეზს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მის უკან შეიძლება რევმატიზმის მსუბუქად მიმდინარე ფორმა იმალებოდეს.

რევმატიზმით დაავადებულები უნდა ერიდონ სიცივეს და ნესტიან ადგილს, რაც ხშირად მიძინებულ ანთებით პროცესს აჩქარებს. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკვების შემადგენლობას. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ცილოვანი საკვები უნდა მიიღოთ. ცილა ორგანიზმის იმუნიტეტის გაძლიერების ძირითად წყაროს წარმოადგენს.

## თოდუების საგვარეულო წამლები სასწაულებს ახდენს

თოდუები მე-11 საუკუნიდან საუკეთესო მკურნალებად არიან ცნობილნი. მათი საგვარეულო წამლები უამრავ დაავადებას კურნავს. მათ საქმეს დღეს ქალბატონი ლამარა თოდუა აგრძელებს, რომელსაც უამრავი პაციენტი ჰყავს განკურნებული.

***— ქალბატონო ლამარა, რა დაავადებებს მკურნალობთ?***

— ჩვენი საგვარეულო მალამოები ეფექტურია დამწვრობის დროს, ერთი წასმით ჩერდება წვის პროცესი, კანის დამწვარი უბანი ხდება უმტკივნეულო. სწრაფად იკურნება ჭრილობები, დაჩირქებული, ნაოპერაციევი ნაწიბურები, დაჟეჟილობები, ნაღრძობი სახსრები. ვინც ჩვენ მალამოს წაისვამს ნებისმიერი მწერის ნაკბენ, შესიებულ კანზე, მაშინვე მიხვდება მის სიკეთეს. ვკურნავ ჰაიმორიტს 10 დღეში, ქრონიკულიც რომ იყოს. ღრძილების ძლიერ ანთებას, სოკოვან სტომატიტს, წითელ ქარს. მალამოთი მოვაშორებ მეჭეჭებს უმტკივნეულოდ. ჩვენი მალამოების გამოყენებით იკურნება ფეხების ძლიერი ოფლიანობა, ჩერდება თმის ცვენა, ბუდობრივიც კი. ჩვენი საგვარეული წამლები ბუნებრივ პროდუქტებზე არის დამზადებული და სასწაულებს ახდენს.

***— თქვენი წამლები მხოლოდ გარეგანი მოხმარებისაა?***

— ნებისმიერი ორგანიზმი მოითხოვს გაწმენდას. ჩვენი საგვარეულო წამლების გამოყენებით იწმინდება ნაღვლის ბუშტი, თირკმელები, შარდის ბუშტი, ფილტვები, კუჭ-ნაწლავი, იკურნება დისბაქტერიოზი, იდევნება ჭიები, სხვადასხვაგვარი მარილები. სუფთავდება სისხლი.

***— სახის კანის საშუალებებს თუ ამზადებთ?***

— პროფესიით ვარ კოსმეტოლოგი. ვმკურნალობ ნებისმიერ კანს. ვამზადებ სხვადასხვა ტიპის კანისთვის მკვებავებსა და ნიღბებს, გამწმენდ საშუალებებს. ვაშორებ ტილებს ერთი პროცედურით. წამალი კურნავს თმის ცვენას და აშორებს ქერტლს.

***— თქვენთან მკურნალობა რა ჯდება?***

— თოდუები ცნობილნი ვართ, იმითაც, რომ ჩვენთან მკურნალობა ყველასთვის ხელმისაწვდომია. დღეს ყველას უჭირს, ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ხალხმა საკუთარი ჯანმრთელობა დაივიწყა. მარტოხელებს, უმწეოებს, გაჭირვებულებს ყოველთვის დავეხმარები და ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე მოვემსახურები.

**P.S. თუ გსურთ, განიკურნოთ თოდუების საგვარეულო, ბუნებრივ პროდუქტებზე დამზადებული წამლებით, მიმართეთ ლამარა თოდუას. მისი კოორდინატებია:**

**ოთარ ჭილაძის ქ.№166,**

**№10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან.**

**230 62 52; 599 16 10 82.**


## მალამო «მენტორი პირველი»

**საუკუნოვანი ტრადიციული გამოცდილების მქონე სამკურნალო, მცენარეებისაგან დამზადებული საუკეთესო, სამკურნალო საშუალება. მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტის, ართროზის, სახსრებში მარილების დაგროვებისა და პოდაგრის სამკურნალოდ. ეფექტურია ფრჩხილების სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ.**

**მალამო უნდა წაისვა მტკივნეულ ადგილზე დღეში ორჯერ.**

**მობ.ტელ. 599-73-48-21**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა [illegible] სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათინო

# ჩრდილოეთ კორეა აშშ-სთან ბირთვული ომის საწარმოებლად მზად არის

ჩრდილოეთ კორეის ხელმძღანელობამ აშშ-სთან ბირთვული ომის საწარმოებლად მზადყოფნა გამოთქვა: ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ამერიკელებმა ფხენიანს ვალდებულებების შესრულებისკენ მოუწოდეს. შესაბამისი განცხადება ქვეყნის ლიდერმა, კიმ ჩენ ინმა გააკეთა.

მორიგი სამხედრო წვრთნებისას კიმ ჩენ ინმა მიუთითა, რომ კორეელები „მზად არიან ნებისმიერი ომისთვის, როგორც ჩვეულებრივი, ასევე ბირთვული შეიარაღების გამოყენებით“. მან ასევე უარყო აშშ-ს დღევანდელ ხელმძღანელობასთან რაიმე დიალოგის შესაძლებლობა და მიუთითა, რომ „ცოფიან ძაღლებთან მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომის სურვილი არ აქვს“.

ადრე მასმედიაში აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის შესაძლო მოლაპარაკებაზე სპეკულაციები ვრცელდებოდა. ვაშინგტონის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჩრდილოეთ კორეაში სან კიმმა ფხენიანში ვიზიტისას განაცხადა, რომ იმედგაცრუებულია, რადგან ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლებთან შეხვედრა ვერ მოახერხა. თუმცა აშშ-ს სახდეპარტამენტის პრესმდივანმა ჯენიფერ ფსაკიმ მოგვიანებით აღნიშნა, რომ მსგავსი დიალოგი გამორიცხულია, სანამ ჩრდილოეთ კორეა დენუკლეარიზაციის ვალდებულების შესრულებას არ დაიწყებს.

ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული ცდების ჩატარების გამო დასავლეთმა ამ ქვეყნის წინააღმდეგ სანქციების რამდენიმე პაკეტი შემოიღო. 2015 წლის დასაწყისში აშშ-მ სანქციები გააფართოვა. ამას გარდა ცნობილი გახდა, რომ ამერიკა ჩრდილოეთ კორეის საერთაშორისო საფინანსო სისტემისგან მთლიანად მოწყვეტას აპირებს.

ამასთანავე, რუსეთისა და ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობები სულ უფრო თბება.

# მინსკის შეხვედრა ჩაიშალა

მინსკის საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრა ისევ ჩაიშალა. როგორც დეფაქტო დონეცკის წარმომადგენელმა დენის პუშილინმა განაცხადა, დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკის ლიდერები მოლაპარაკებისთვის მზად იყვნენ, თუმცა კიევმა დიალოგში მონაწილეობა არ ისურვა. შეხვედრა ბელარუსის დედაქალაქში უნდა გამართულიყო და მასში მონაწილეობა ეუთოსა და რუსეთის წარმომადგენლებსაც უნდა მიეღოთ.

უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას განცხადებით კი, მოლაპარაკებების ეს რაუნდი ჩაიშალა, რისი მიზეზიც „მინსკის შეთანხმების“ ხელმომწერების შეხვედრაზე მოუსვლელობა გახდა.

ოფიციალური კიევი მთავარ მოთხოვნად მინსკში მიღწეული შეთანხმების უპირობო შესრულებას აყენებს.

აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებები ამ დრომდე გრძელდება.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# რადიკალმა ისლამისტებმა კენჯი გოტოს თავი მოჰკვეთეს



დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ წევრებმა ჟურნალისტ, კენჯი გოტოს თავი მოკვეთეს და ვიდეომასალა ინტერნეტით გაავრცელეს.

მანამდე, რადიკალმა ისლამისტებმა ვიდეომიმართვა გაავრცელეს, სადაც გოტოსა და იაპონელი მფრინავის სიცოცხლის შენარჩუნებისთვის, იორდანიის ციხიდან ტერორისტის გათავისუფლებას ითხოვდნენ. აუდიომიმართვაში ტექსტს კენჯი გოტო კითხულობდა.

აღნიშნულ მიმართვამდე, ექსტრემისტებმა ორი იაპონელი მძევალის კენჯი გოტოს და ხანურ იუკავას სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ, იაპონიის ხელისუფლებისგან, 200 მილიონ დოლარის მიღებას ითხოვდნენ. ვადის ამოწურვის შემდეგ, დაჯგუფებამ გაავრცელა ვიდეო, სადაც ერთი იაპონელი მძევლის იუკავას მკვლელობაა ასახული.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკების“ მიერ იაპონელი ჟურნალისტის კენჯი გოტოს მკვლელობა დაგმო.

„შეერთებული შტატები გააგრძელებს გადამწყვეტი ზომების მიღებას „ისლამური სახელმწიფოს“ დასუსტებისა და საბოლოოდ განადგურების მიზნით“, — ნათქვამია ობამას განცხადებაში.

იაპონელი ჟურნალისტის მკვლელობა დაგმო გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმაც. დევიდ ქემერონის განცხადებით, იპონია „ტერორიზმის საფრთხეს თავს არ უხრის“.

# ჩადელმა სამხედროებმა კამერუნის ჩრდილოეთში ბოკო ჰარამის“ 120 ბოევიკი გაანადგურეს



ჩადის არმიის სამი ჯარისკაცი მოკლეს კამერუნის ჩრდილოეთში რადიკალური ისლამისტური დაჯგუფება „ბოკო ჰარამის“ ბოევიკების თავდასხმის შედეგად. ამის შესახებ ჩადის შეიარაღებული ძალების განცხადებაშია ნათქვამი.

სამხედრო მოსამსახურეები თვითნაკეთი ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპნენ. ამავე დროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ სამხედროებმა 123 ისლამისტის განადგურება მოახერხეს, რომლებიც ორი შეტევის განხორციელებას შეეცადნენ ფოტოკოლის რეგიონში, სადაც ჩადის საარმიო კონტინგენტია განლაგებული.

ჩადელი სამხედროები კამერუნში „ბოკო ჰარამთან“ საბრძოლველად 17 იანვარს შევიდნენ. ისინი დასახლებულ პუნქტ ფოტოკოლში განლაგდნენ, რომელიც ბოევიკების მიერ დაკავებულ ნიგერიულ ქალაქ გამბორთან უშუალო სიახლოვესაა.

ფოტოკოლსა და გამბორს სულ რამდენიმე ასეული მეტრი ყოფს და „ბოკო ჰარამი“ რეგულარულად ცდილობს მეზობელ კამერუნში დასახლებულ პუნქტს თავს დაესხას.

ამ ფონზე, „აფრიკული კავშირი“ ნიგერიაში მოქმედი ტერორისტული დაჯგუფება „ბოკო ჰარამის“ წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალურ სამხედრო ფორმირებას ქმნის.

ახალ ფორმირებაში 5 ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეები გაერთიანდებიან და მთლიანობაში 7 ათას 500 ჯარისკაცისაგან შემდგარ დანაყოფს შექმნიან.

გაეროს გენერალური მდივანი ბან კი მუნი, აფრიკული კავშირის ინიციატივას მიესალმება და მხარს უჭერს.

2002 წელს შექმნილი დაჯგუფება „ბოკო ჰარამის“ მთავარი მიზანი დასავლური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა და ნიგერიის ტერიტორიაზე ისლამური ხალიფატის შექმნაა. დაარსებიდან დღემდე „ბოკო ჰარამის“ ტერორისტული თავდასხმების მსხვერპლთა რიცხვი 30 ათასს აღემატება.

ბოლო თვეებში ბოევიკებმა თავდასხმებს მოუმატეს, რაც ასევე კამერუნისა და ჩადის ტერიტორიაზე ვრცელდება.

# იტალიის პრეზიდენტი საკონსტიტუციო სასამართლოს 73 წლის მოსამართლე სერჯო მატარელა გახდა



იტალიის პარლამენტის წევრებმა სახელმწიფოს ახალ მეთაურად საკონსტიტუციო სასამართლოს 73 წლის მოსამართლე სერჯო მატარელა აირჩიეს, იტყობინება „ევრონიუსი“. მისი კანდიდატურა პრემიერ-მინისტრ მატეო რენცის დემოკრატიულმა პარტიამ წამოაყენა.

მატარელა სხვადასხვა წლებში იტალიის მთავრობის ექვსი შემადგენლობის წევრი იყო (1987-2001 წლები). იკავებდა თავდაცვის, საზოგადოებრივი განათლების, პარლამენტთან კავშირების მინისტრის, ასევე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობებს.

რენცის მიერ მხარდაჭერილმა მატარელას კანდიდატურამ პარტია „წინ, იტალიას“ ლიდერი, ექს-პრემიერი სილვიო ბერლუსკონი აღაშფოთა, რომელიც იმედოვნებდა, რომ მასთან დადებული პოლიტიკური პაქტის საფუძველზე, პრემიერთან საერთო კანდიდატზე შეთანხმებოდნენ. თუმცა მატარელამ რენცის პარტიის ერთსულოვანი მხარდაჭერა მიიღო. თავად ბერლუსკონი იტალიის კიდევ ერთი ექს-პრემიერის, ჯულიანო ამატოს კანდიდატურას მხარს უჭერდა.

იტალიის წინა პრეზიდენტმა ჯორჯო ნაპოლიტანომ თანამდებობა 14 იანვარს დატოვა.

როგორც პრესა აღნიშნავს, სახელმწიფოს მეთაურის შეცვლა იტალიის ეკონომიკური პრობლემების ფონზე მიმდინარეობს, რომელიც უკვე რამდენიმე წელია გრძელდება. იტალიის სახელმწიფო ვალი ორ ტრილიონ დოლარს აღემატება და მსოფლიოში სიდიდით მესამეა აშშ-სა და იაპონიის შემდეგ. 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ, ქვეყანა ხანგრძლივ რეცესიაში აღმოჩნდა. ჯერჯერობით მინისტრთა კაბინეტი ამას ვერ უმკლავდება.

ცნობისთვის, იტალიის პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაური, ეროვნული ერთიანობისა და იტალიის კონსტიტუციის გარანტია. ირჩევს პარლამენტი 7 წლით. პრეზიდენტის რეზიდენცია მდებარეობს რომში, კვირინალის სასახლეში. პრეზიდენტი გადადგომის შემდეგ იღებს მუდმივი სენატორის თანამდებობას.

# ნორვეგიელმა მღვდელმა მეძავებში 2 მილიონი დოლარი დახარჯა

ყოფილმა ნორვეგიელმა მღდელმა არე ბლუმჰოფმა აღიარა, რომ საქველმოქმედო ფონდ „ბეთენიენიდან“, ესპანეთში, მეძავებთან გატარებულ საღამოებზე 15 მილიონი კრონი (თითქმის 2 მილიონი დოლარი) დახარჯა, იტყობინება სააგენტო „ფლეშნორდი“.

ყოფილი მღვდლის თქმით, ის ფულს 7 წლის განმავლობაში ხარჯავდა. „ეს იყო როგორც ავადმყოფობა, ნარკომანია“, — თქვა მან.

სააგენტო აღნიშნავს, რომ ამ საღამოებისას მეძავები 1,3-დან 1,7 ათას დოლარამდე გამოიმუშავებდნენ.

ბლუმჰოფმა აღიარა, რომ ალკოჰოლთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. სასამართლოზე მან სრულად აღიარა საკუთარი დანაშაული, განაჩენს უახლოეს დღეებში გამოიტანენ.

ფონდი „ბეთენიენი“ ინახავს საავადმყოფოს, საბავშვო ბაღს და სკოლას ჩრდილოეთ ნორვეგიაში, ასევე მოხუცებულთა სახლს და სარეაბილიტაციო ცენტრს ალფას-დელ-პიში, ესპანეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე. სამი წლის წინ მეფე ჰაროლდმა ბლუმჰოფი მრავალწლიანი საქველმოქმედო მოღვაწეობისთვის ორდენით დააჯილდოვა.

# გერმანიის ყოფილი პრეზიდენტი რიხარდ ფონ ვაიცზეკერი გარდაიცვალა

94 წლის ასაკში გერმანიის ყოფილი პრეზიდენტი რიხარდ ფონ ვაიცზეკერი გარდაიცვალა. ამის შესახებ „დოიჩე ველე“ იუწყება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობას ვაიცზეკერი 1984 წლიდან 1994 წლამდე იკავებდა. სწორედ ვაიცზეკერის ათწლიანი პრეზიდენტობის პერიოდში განხორციელდა ბერლინის კედლის ნგრევა და გერმანიის გაერთიანება.

რიხარდ ფონ ვაიცზეკერი მეორე მსოფლიო ომში ვერმახტის ოფიცერი იყო. ცნობილია მის მიერ 1985 წელს, მეორე მსოფლიო ომის 40-ე წლისთავზე წარმოთქმული სიტყვით, რომელშიც პრეზიდენტმა გერმანელებს ჰოლოკოსტის გამო პასუხისმგებლობისაკენ მოუწოდა.

ვაიცზეკერი მიიჩნევდა, რომ 1945 წლის 8 მაისის კაპიტულაციით გერმანია გათავისუფლდა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## ისლანდიელი ბურგერს ექვსი წელი ინახავდა

ისლანდიელმა ჰერტურ სმარასონმა წარმოადგინა ჩიზბურგერი, რომელიც მან 2009 წელს შეიძინა მაკდონალდსის ერთ-ერთ რესტორანში, ეს იყო ქვეყანაში მაკდონალდსების რესტორნების ქსელის მუშაობის ბოლო დღე.

აღსანიშნავია, რომ ექვსი წლის შემდეგ ბუტერბროდი თითქმის არ შეცვლილა. ერთადერთ შესამჩნევ ცვლილებას ის წარმოადგენს, რომ ამ დროის მანძილზე ხორცს ფერი ოდნავ შეეცვალა და ის უფრო ღია ფერის გახდა.

მამაკაცმა გადაწყვიტა ფასტფუდის ნივთი შეენახა და ის პოლიეთილენის პაკეტში სამი წლით მოათავსა. ამის შემდეგ სმარასონმა ჩიზბურგერი ისლანდიის ეროვნულ მუზეუმს გადასცა.

— გამიგია, რომ მაკდონალდსის ნაწარმი არასოდეს ფუჭდება და ამიტომ გადავწყვიტე შემემოწმებინა, — განაცხადა ისლანდიელმა.

აღსანიშნავია, რომ ახლახან ქვეყნის ეროვნულმა მუზეუმმა ბურგერი მის ყოფილ მფლობელს დაუბრუნა. სპეციალისტებმა გადაწყვიტეს, რომ მის შენახვას ვერ შეძლებდნენ. ამის შემდეგ სმარასონმა ჩიზბურგერი რეიკიავიკის ერთ-ერთ საერთო საცხოვრებელს გადასცა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კალეიდოსკოპი

## საფრანგეთში ბურგერ კინგთან რიგებია

ფრანგულ ქალაქ ლილში გახსნილ ბურგერ კინგთან გაიმართა რიგი, რომელიც ექვსი ათასი ადამიანისგან შედგებოდა, — იტყობინება „დეილი მირორი“. სწრაფი კვების რესტორნების ქსელი ქვეყანაში ბოლო 18 წლის მანძილზე არ ყოფილა წარმოდგენილი.

დაწესებულების გახსნის აღსანიშნავად მომხმარებლებს კერძები უფასოდ დაურიგდათ. აქცია 28 იანვარს 17-დან 22 საათამდე მიმდინარეობდა, მაგრამ ხალხმა თავმოყრა დღის სამი საათიდან დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ ხალხი არ დაშლილა იმის მიუხედავად, რომ მეტად არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები იყო. კომპანია ბურგერ კინგმა საფრანგეთის ბაზარი 1997 წელს დატოვა მეტად დაბალი მოგების გამო. თუ რატომ გადაწყვიტა კომპანიამ ამ ბაზარზე დაბრუნება, უცნობია. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ დაწესებულების გახსნა პარიზის ცენტრში, ელისეის მინდვრების მახლობლადაც არის დაგეგმილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## იბიცაზე სიყვარული ტრაგიკულად დასრულდა

ესპანეთის კუნძულ იბიცაზე გოგონა კლდიდან მას შემდეგ გადაიჩეხა, როდესაც მისმა შეყვარებულმა ხელი სთხოვა. როგორც „დეილი მეილი“ იუწყება, ინციდენტი 27 იანვარს კურორტ კალა ტარიდაზე მოხდა.

დიმიტრინა დიმიტროვა, 29 წლის ბულგარელი გოგონა, კუნძულზე თავის შეყვარებულთან ჩავიდა, რომელიც იქ ოფიციანტად მუშაობდა. შეყვარებულმა ის კლდეზე გასასეირნებლად მიიწვია, საიდანაც ზღვაზე მზის ჩასვლის ხედი იშლება და სწორედ იქ სთხოვა გოგონას ხელი. გახარებული გოგონა სიხარულისგან შეხტა, წონასწორობა დაკარგა და 20 მეტრის სიმაღლიდან გადაიჩეხა.

როდესაც შემთხვევის ადგილას ექიმები მივიდნენ, დიმიტრინა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს, ის რამდენიმე წუთში მიღებული ტრავმებისგან გარდაიცვალა. ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები მომხდარს უბედურ შემთხვევად აფასებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


## განცხადებები

● თუ გაწუხებთ დამწვრობა, ნაწოლები, ჩირქოვანი გამონაყარები, ქუსლზე ნახეთქები, სოკოვანი დაავადებანი, ლორწოვანი გარსის ანთება (გარდა თვალისა), ბუასილი, კუჭ-ნაწლავი, სახსრები, ღრძილების ანთება და სხვა, გიმკურნალებთ ინდივიდუალურად ლელა დეკანოსიძე. ტელ: 571-05-94-89; 593-64-63-03; 267-32-06.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, სამტრედიის 50-ში, შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ნუ გადადებთ ზაფხულისთვის. ტელ: 235-15-96.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

# გამორჩეული ოლ სტარი

**რეგიონის გუნდი – თბილისის გუნდი**
**133:122**
**(43:37; 40:38; 23:32; 27:15)**

საკალათბურთო სუპერლიგის 2015 წლის „ოლ სტარი" საინტერესო და სიურპრიზებით აღსავსე გამოდგა. ყველა ვარსკვლავის მატჩ-აქციას „თბილისი მოლმა" უმასპინძლა და ღონისძიებაში სხვადასხვა სახით ყველა თაობის კალთბურთელი ჩაერთო.

შოუს ელფერი შემატა გარემომ – „თბილისი მოლში" მისული მოქალაქეები გაოცებულები ჩერდებოდნენ და თვალს ადევნებდნენ საკალათბურთო სანახაობას, რომელშიც სუპერლიგის საუკეთესო მოთამაშეები, სნაიპერები და ეფექტური გდებების ოსტატები იყვნენ ჩართულები.

სპორტულ მხარეზე არანაკლებ მიმზიდველი იყო ეფექტური ნომრები, რომლებითაც ყველა ვარსკვლავის მატჩი იყო გაფორმებული. მაყურებელთა წინაშე წარსდგნენ ვახტანგ ჭაბუკიანის საბალეტო დასის გოგონები ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით, შოუ-ბალეტი „ვერნისაჟი" და ჯგუფი „ჰეფი ჰენდი". თამაში ჯგუფ „ფართ ენიმალის" მუსიკის ფონზე მიმდინარეობდა, ხოლო ღონისძიების დაწყებამდე „თბილისი მოლში" შეკრებილებმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი აჩიკო ნიჟარაძის შესრულებით მოისმინეს.

ერთმანეთს თბილისისა და რეგიონის გუნდები შეხვდნენ. ერთ მხარეს თბილისური გუნდები – „შსს-აკადემიის", „დინამოს", „ოლიმპის" და „მგზავრები-არმიას" კალათბურთელები იყვნენ, ხოლო რეგიონის გუნდში თავი „ქუთაისის", „ბათუმის", „რუსთავისა" და „სოხუმის" კალათბურთელებმა მოიყარეს.

სასტარტო ხუთეულები გამოკითხვის შედეგად შეირჩა, რომელიც სუპერლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე 15-28 იანვარს მიმდინარეობდა. გუნდების დანარჩენი წევრები მწვრთნელებმა შეარჩიეს. თბილისის გუნდის მწვრთნელები ირაკლი ხოშტარია და კოტე ტუღუში იყვნენ, ხოლო რეგიონის გუნდს მიხელ ბერუაშვილი მალხაზ კოხრეიძე ხელმძღვანელობდნენ.

მატჩში დაცვა თითქმის არ ყოფილა. როგორც „ოლ სტარის" სპეციფიკას მოითხოვს, თამაშის მონაწილენი სანახაობაზე იყვნენ ორიენტირებულნი. შესაბამისად, მაყურებლებმა ლამაზი შოუ იხილეს. შეხვედრა რეგიონის გუნდის გამარჯვებით – 133:122 დასრულდა.

პირველად, „ოლ სტარის" ისტორიაში, მატჩი იმპროვიზირებული იყო. მასში პერიოდულად სხვადასხვა თაობის ვეტერანი კალათბურთელები იყვნენ ჩართულნი. თავდაპირველად, შუა მატჩის მსვლელობისას მოედანზე თბილისის გუნდის მწვრთნელი კოტე ტუღუში ვიხილეთ, რომელიც მოედანზე საკუთარი გუნდის დასახმარებლად შევიდა. ამის საპასუხოდ, რეგიონის გუნდს საკუთარი კლასი დ გამოცდილება დაახმარა ვლადიმერ ბოისამ. ახლო წარსულში ორივე კალათბურთელი საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი იყო. ახლა ისინი კალათბურთში მოღვაწეობას სხვა სახით აგრძელებენ: ტუღუში წარმატებული მწვრთნელია, ბოისა კი საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

მეორე სიურპრიზით დასრულდა ყველა ვარსკვლავის მატჩი. მოედანზე ვეტერანი კალათბურთელები – ყველასთვის კარგად ნაცნობი სახეები: გივი ბიჭიაშვილი, გია სანაძე, პაატა გურასპაული, კახა შენგელია და ნოდარ ქორქია წარდგნენ, რომლებიც მოედანზე ჩამორჩენილი რეგიონის გუნდის დასახმარებლად შევიდნენ. ბოლო 4 წუთში ვეტერანებმა გაქცევა მოუწყეს თბილისელებს და მატჩიც რეგიონის გუნდის გამარჯვებით დასრულდა. ამ შედეგს, რა თქმა უნდა, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა და საბოლოოდ გამარჯვებული კალათბურთი გამოვიდა, რომელიც ვეტერანმა და თანამედროვე კალათბურთელებმა საუკეთესო კუთხით წარმოუდგინეს გულშემატკივრებს.

## სამქულიანების კონკურსი

ტურნირში მონაწილეობა მიმდინარე სუპერლიგის საუკეთესო 6-მა სამქულიანების მსროლელმა (გიორგი ბარბაქაძე, ნიკ კელოგი, აკაკი ლომოური, ლუკა ზაქრაძე, ბესო ლეჟავა, ლევან ცეკვავა) და შარშანდელმა გამარჯვებულმა გრიგოლ შვანგირაძემ მიიღეს.

მოთამაშეებმა პერიმეტრის 5 წერტილიდან 5-5 ბურთი ისროლეს. ფინალში 3 მათგანი – შვანგირაძე, ბარბაქაძე და ლომოური გავიდა. კონკურსის გამარჯვებული შსს აკადემიის წევრი აკაკი ლომოური გახდა.

## ჩატენვების კონკურსი

ეფექტური გდებების კონკურსში 4 კალათბურთელი მონაწილეობდა – გეგი ბაქრაძე, გიორგი ბარბაქაძე, აკაკი დვალიშვილი და ბიჯეი იანგი. ჟიურის წევრები ის ვეტერანი კალათბურთელები გახლდნენ, რომლებიც მაყურებელმა მოედანზე იხილა – გივი ბიჭიაშვილი, გია სანაძე, პაატა გურასპაული, კახა შენგელია და ნოდარ ქორქია.

გაიმარჯვა ამერიკელმა ბი ჯეი იანგმა, რომელმაც მაყურებლებს მართლაც რომ ეფექტურად ჩატენილი ბურთები უჩვენა. აღსანიშნავია ფინალში დამარცხებული გიორგი ბარბაქაძის შესრულებაც, რომელსაც ტრიუმფამდე სულ მცირედი დააკლდა.

## სტუმრები

ქართული „ოლ სტარის" საყურებლად „თბილისი მოლში" არაერთი ცნობილი და პატივსაცემი პერსონა მოვიდა. თბილისში სამუშაო ვიზიტით ჩამოსულმა იგორ კოკოშკოვმა გარკვეულწილად შოუშიც მიიღო მონაწილეობა. ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მატჩის ბოლოს მოედანზე შესულ ვეტერანებს სიმბოლურად უთავკაცა და ადგილი რეგიონის გუნდის სათადარიგოთა სკამის თავში დაიკავა. კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად ყველა ვარსკვლავის მატჩ-აქციას დაესწრნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და ძალოსნობაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი.

## ახალი თაობა

მატჩს ესწრებოდნენ და შოუს წარმართვაში თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრების წევრებმა. ნოდარ ქორქიას და ირაკლი მაისურაძის გაწვრთნილი ახალგაზრდები სამქულიანების კონკურსის დროს მის მონაწილეებს დახმარებას უწევდნენ, დიდ შესვენებაზე კი ისინი მოედანზე გამოვიდნენ და დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ.

## მატჩის უძვირფასესი მოთამაშე

ყველა ვარსკვლავის მატჩის უძვირფასეს მოთამაშედ (მვპ) დასახელდა თბილისის გუნდის წევრი, „მგზავრები-არმიას" ფორვარდი მერაბ ბოქოლიშვილი, რომელმაც 24 წუთში 32 ქულა დააგროვა. ახალგაზრდა კალათბურთელმა მაყურებელს თავი ეფექტური გდებებითა და სწრაფი, შედეგიანი გარღვევებით დაამახსოვრა.



## დაჯილდოების ცერემონიალი

2015 წლის „ყველა ვარსკვლავის მატჩი" ფოიერვერკით დასრულდა, მანამდე კი დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

„ოლ სტარის"ყველა მონაწილე მოთამაშე, მსაჯთა ბრიგადა და კონკურსების გამარჯვებული კალათბურთელები აქციის ბოლოს ვეტერანმა კალათბურთელებმა დააჯილდოვეს. ყველა მონაწილეს სპეციალურად დამზადებული, 2015 წლის „ოლ სტარის" მედალი ერგო.

ვეტერანმა კალათბურთელებმა „ოლ სტარის" 3-ქულიანების გამარჯვებული აკაკი ლომოური სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს. საუკეთესო სნაიპერი, მასპინძლის, „თბილისი მოლისგან" 300 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერით დასაჩუქრდა, რომელიც გამოყენებადია მაღაზია „პუმაში". აკაკი ლომოურს პრიზი გადასცა „თბილისი მოლის" მარკეტინგის მენეჯერმა იანა კოკოულინამ. გამარჯვებული სასაჩუქრე ვაუჩერით დაჯილდოვდა კომპანია „კოლსი ბინისგან." სამქულიანების საუკეთესო მსროლელს პრიზი კომპანიის წარმომადგენლმა, ნინო გაფრინდაშვილმა გადასცა.

ჩატენვების კონკურსის გამარჯვებულ ბიჯეი იანგს სპეციალური პრიზი „ჯინო ფერედაისის" ვიპ-ოსაწვევები გადაეცა. გამარჯვებული პრიზებით ვეტერანმა კალათბურთელებმა და „ჯინო ფერედაისის" წარმომადგენელმა, ნინო გიორგაძემ დააჯილდოვეს.

ვეტერანი კალათბურთელებისგან სპეციალური პრიზი ჩაიბარა „ოლ სტარის" საუკეთესო მოთამაშემ (მვპ) მერაბ ბოქოლიშვილმა. ბოქოლიშვილს სასტუმროების ქსელ „კრისტალისგან" საჩუქრად გადაეცა 2-კაციანი საგზური ბაკურიანში, სასტუმრო „კრისტალში" სრული კომფორტით დასვენებისთვის.

კომპანია „ბადაგმა"– საუკეთესო მოთამაშეს, 3-ქულიანების კონკურსის გამარჯვებულს, ჩატენვების კონკურსის გამარჯვებულს და ვეტერან კალათბურთელებს გადასცა უგემრიელესი ნუგბარის სასაჩუქრე კალათა. „ოლ სტარის" ნომინაციების გამარჯვებულები და ვეტერანი კალათბურთელები „ბადაგის" მარკეტინგის მენეჯერმა მირანდა ცერცვაძემ დაასაჩუქრა.

**ლევან ყიფიანი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი:**

– მადლობა კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას და „ოლ სტარის" მონაწილეებს ასეთი საინტერესო და სანახაობრივი ღონისძიებისთვის. ხარისხი და გულშემატკივრის ინტერესი კალათბურთის მიმართ წლიდან წლამდე მატულობს. საინტერესო გამოდგა ღონისძიების ფორმატი და ჩატარების ადგილი. იმედია, მომავალში მსგავსი ღონისძიებები კიდევ უფრო მასშტაბური გახდება.

**იგორ კოკოშკოვი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– არაჩვეულებრივი დღე იყო. ძალიან საინტერესო სივრცეა, ვფიქრობდი, რატომ არ ტარდებოდა მატჩი დარბაზში, თუმცა დღეს დავრწმუნდი, რომ ასეთი სანახაობრივი შოუსთვის ნამდვილად კარგი ადგილია. „ოლ სტარი" გასართობი მატჩია, რომლითაც სიამოვნებას ერთნაირად იღებენ მონაწილეები და მაყურებელი. ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობს კალათბურთის პოპულარიზაციას. დარწმუნებული ვარ ყველამ ისიამოვნა, მათ, ვინც შეხვედრას ტელევიზიის საშუალებით უყურებდა და განსაკუთრებით იმ მაყურებელმა, რომელიც დღეს აქ მოვიდა. ჩემთვისაც ძალიან სასიამოვნოა დღეს ბიჭებთან ერთად ყოფნა და მათი თამაშის ყურება.

**ვლადიმერ ბოისა, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:**

– ძალიან საინტერესო და ლამაზი შოუ გამოვიდა. გაამართლა ამ სივრცემ. მაყურებელმა ბევრი სიურპრიზი იხილა. კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ და სუპერლიგამ ძალიან მაღალი დონის ღონისძიება ჩაატარა. „ყველა ვარსკვლავის მატჩი" ჩატარებული მაქვს სლოვენიაში, ლატვიაში, იტალიაში და ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე მინდა აღვნიშნო, რომ დღეს ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზება იყო. ეს არის დიდი პლუსი და მიხარია, რომ ამ ყველაფრის ნაწილი მეც ვიყავი.

**კოტე ტუღუში, თბილისის გუნდის მწვრთნელი, მონაწილე:**

– ძალიან ბედნიერი ვარ და მიხარია, რომ მომეცა საშუალება ამ დიდი და კარგი ღონისძიების მონაწილე ვყოფილიყავი. საკმაოდ ბევრი ხალხი იყო მოსული და დარწმუნებული ვარ, მათ ძალიან ისიამოვნეს. ახალგაზრდა თაობა კი, რომელმაც ეს შოუ იხილა, ვფიქრობ, აუცილებლად დაინტერესდება კალათბურთით. ასეთი ღონისძიებები ხელს შეუწყობს კალათბურთის პოპულარიზაციას და შემდგომში მის განვითარებას.

**იანა კოკოლინა, თბილისი მოლის მარკეტინგის მენეჯერი:**

– „თბილისი მოლის" სახელით ყველას ვულოცავთ ამ ღონისძიების წარმატებით ჩატარებას. განსაკუთრებულ მადლობას გადავუხდით კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას და გამოვთქვამთ სურვილს მსგავსი ღონისძიება ტრადიციად ვაქციოთ.

**მერაბ ბოქოლიშვილი (მვპ):**

– ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო „ოლ სტარი" გამოვიდა. ვფიქრობ, მაყურებელმაც ისიამოვნა. რაც შეეხება საუკეთესო მოთამაშედ დასახელებას, ნამდვილად არ ველოდი. ამ მატჩში რაიმე პრიზისთვის არავინ თამაშობს, მთავარია, სანახაობრივი და ლამაზი თამაში ვაჩვენოთ. მადლობას ვეტყვი ჩემი გუნდის ბიჭებს, მათი დამსახურებაა, რომ საუკეთესო მოთამაშე გავხდი.

**აკაკი ლომოური, სამქულიანების კონკურსის გამარჯვებული:**

– ლამაზი და სანახაობრივი შოუ გამოვიდა, ბიჭების თამაშით მაყურებელმა ნამდვილად ისიამოვნა. რაც შეეხება 3-ქულიანების კონკურსს, ძალიან ძლიერი და ღირსეული კონკურენტები მყავდა, თუმცა დღეს მე უფრო იღბლიანი აღმოვჩნდი. სასიამოვნოა. რომ გამარჯვება მოვახერხე.

**ბი ჯეი იანგი, მონაწილე, ჩატენვების კონკურსის გამარჯვებული:**

– ძალიან კარგი დღე იყო. ვფიქრობ, მაყურებელმაც და მონაწილეებმაც დიდი სიამოვნება მიიღეს. რაც შეეხება ჩატენვების კონკურსს, ღირსეული მეტოქეები მყავდა და საინტერესო კონკურსი გამოვიდა. შევეცადე, ამ ყველაფრისგან უბრალოდ დიდი სიამოვნება მიმეღო და მიხარია, რომ გავიმარჯვე.

**პაატა გურასპაული, ვეტერანი კალათბურთელი:**

– ფანტასტიური დღეა, წლევანდელი ღონისძიება არ ჰგავდა წინა „ოლ სტარებს" და ბევრად უკეთესი იყო. მივესალმები იმ ახალ ელემენტებს და სიურპრიზებს, რომლებიც კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ დაგეგმა. ეს იყო საკალათბურთო დღესასწაული და მოხარული ვარ, რომ მაყურებელიც კმაყოფილი დარჩა. ჩვენც, ვეტერანმა კალათბურთელებმაც ძალიან დიდი სიამოვნება მივიღეთ და თუკი პატარა წვლილი შევიტანეთ ამ შოუს გალამაზებაში, ბედნიერები ვართ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ახალწვეულები დინამოზე – ტრადიციების გუნდია

თურქული შეკრებაზე თბილისის „დინამომ" მეორე საკონტროლო მატჩი უკრაინის პრემიერლიგის კლუბთან, პოლტავის „ვორსკლასთან" სპარინგი გამართა.

მატჩი უკრაინელთა გამარჯვებით 1:0 დასრულდა. პირველი ტაიმი დაბალ ტემპში წარიმართა. მე– 7 წუთზე მეტოქის პირველი და უკანასკნელი დარტყმა დინამოელთა კარის ჩარჩოში შედეგიანი გამოდგა. გოლი მიშჩენკოს ანგარიშზეა, მაგრამ არც თბილისელთა ახალწვეული მეკარის, ჰრდლიჩკას არ უნდა დავიკარგოთ „ამაგი".

დინამოელები პრაქტიკულად მთელი მატჩის მანძილზე ფლობდნენ ბურთს და ინიციატივას. მე-16 წუთზე მანუელი ურტყავდა თავით ახლო მანძილიდან, მაგრამ დარტყმა ძლიერი არ გამოვიდა და მეკარე ადგილზე დახვდა ბურთს. ზუსტად 5 წუთში იმავე მანუელმა კარგად ითამაშა მოედნის ცენტრში, ბურთი „მოპარა" მოწინააღმდეგეს, მეორე მცველს სისწრაფეში აჯობა, მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ რეალური საგოლე შანსი ვერ გამოიყენა. უპირატესობის მიუხედავად დინამოელებს გატანის რეალური შანსი მხოლოდ 37-ე წუთზე მიეცათ, მაგრამ ჯიღაურის დარტყმის შემდეგ მეკარემ აკრობატული ნახტომით იხსნა საკუთარი გუნდი.

მეორე ტაიმში გატანის ერთი შესაძლებლობა უკრაინელებსაც ჰქონდათ. დინამოელთა რიგებში არ უთამაშიათ ჭანტურიას და თოთაძეს, კახი გოგიჩაიშვილმა მათ დასვენების საშუალება მისცა. ტრავმის გამო ვერ მიიღეს მონაწილეობა ჩირგაძემ, შერგელაშვილმა და პაპუნაშვილმა. კვლავ ინდივიდუალურად ვარჯიშობს რენე ფერეირა.

**დინამო:** ჰრდლიჩკა (დაუშვილი 46), კაკაბაძე, ბუკორაცი, გველესიანი, ტაბატაძე, გუგა (ლობჟანიძე 46), ჯანელიძე (ჯიღაური 62), პარუნაშვილი (ცინცაძე 62), კიტეიშვილი (უგულავა 67), ჭანტურიშვილი (ჯაფიაშვილი 75), მანუელი (მიქელთაძე 62);

**მანუელი, დინამოს ესპანელი ახალწვეული:**

– შეიძლება ითქვას, რომ მთელი კარიერა „ოსასუნაში" გავატარე. გუნდთან ერთად ვთამაშობდი პრიმერა დივიზიონშიც და სეგუნდაშიც. ახლა კი კლუბის გამოცვლა გადავწყვიტე და ჩემი აგენტისგან (რომელიც ასევე ჩისკოს აგენტიც გახლავთ) შევიტყვე „დინამოს" ინტერესის შესახებ. ჩისკომ გუნდი, ქალაქი და ქვეყანა საუკეთესოდ დამიხასიათა. მქონდა ასევე სხვადასხვა ვარიანტები იტალიის, კვიპროსის და ტაილანდის გუნდებიდან, თუმცა „დინამოს" ამბიციურობამ და ევროთასებზე რეგულარულად ასპარეზობამ ყველა სხვა შემოთავაზება გადაწონა. „დინამოში" პირველივე დღიდან საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობ თავს. „დინამო" ახალგაზრდული გუნდია, თბილად დამხვდნენ და ფეხბურთელები სტაფთან ერთად გვერდში მიდგანან. რაც შეეხება ვარჯიშებს, სტრატეგიას, თეორიას – შემიძლია ვთქვა, რომ ფაქტობრივად ყველაფერი ესპანეთის დონეზეა. საკმაოდ საინტერესოდ მიმდინარეობს წვრთნის პროცესი. „შტურმთან" თამაშით, ცოტა გაოცებული დავრჩი. შეკრება ახალი დაწყებულია და არ მოველოდი გუნდისგან ასეთ სისწრაფეებზე და ასეთი ტემპით თამაშს. რიგ მომენტებში „დინამომ" ხარისხიანი და ლამაზი ფეხბურთი ითამაშა. ჩვენ შეკრების პერიოდი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საუკეთესო კონდიციებში შესასვლელად.

**ბუკორაცი, დინამოს სერბი ახალწვეული:**

– ოთხი სეზონი ვთამაშობდი „დონი სრემში", რომელიც სერბეთის უმაღლეს ლიგაში გამოდის. „დინამოს" ინტერესის შესახებ ჩემი აგენტისგან შევიტყვე. „დინამოს" ყველა იცნობს სერბეთში და ასეთი სახელოვანი გუნდისგან ინტერესი ჩემთვის სასიამოვნო სიახლე აღმოჩნდა. თბილისი ძალიან ლამაზი და ძველი ქალაქია, ხალხი კი ისეთივე თბილი და კონტაქტურია, როგორც სერბეთში. ვარჯიშები და მოსამზადებელი ეტაპი ვფიქრობ კარგად მიდის. პროფესიონალი სამწვრთნელო შტაბი გვყავს, რაც პრაქტიკულ და თეორიულ მეცადიონეობებში ჩანს. გუნდის საშუალო ასაკი საკმაოდ ახალგაზრდულია, მაგრამ მიუხედავად ამისა კრებულში საქმისადმი პროფესიონალური მიდგომაა. მე როგორც უცხოელი თბილად და მეგობრულად მიმიღეს. ანტალიაში ორი ტესტ მატჩი ჩავატარეთ. „შტურმთან", რომელიც ავსტრიის ჩემპიონატის ლიდერებშია საკმაოდ აქტიურად და მაღალ ტემპში ვითამაშეთ. გვქონდა ბურთზე კონტროლი და ასევე მოძრაობის მაღალი რიტმი. „ვორსკლასთან" აღვნიშნავდი, რომ არ გაგვიმართლა. ფაქტობრივად, ერთხელ დაგვირტყეს კარისკენ და გოლი გაიტანეს. ჩემთვის იდეალური სათამაშო პოზიცია საყრდენი ნახევარმცველია, თუმცა დაცვის ცენტრშიც უპრობლემოდ შემიძლია თამაში. მწვრთნელი როტაციას მიმართავს და ვიმედოვნებ, „დინამო" ისეთი გუნდი იქნება, რომელიც საქართველოს პირველობაზე იმარჯვებს და ევროთასებზეც წარმატებით გამოვა.

დინამოელთა ანტალიურ შეკრებაზე დიდი ყურადღება ეთმობა თითოეული ფეხბურთელის და ზოგადად გუნდის ფიზიკურ მომზადებას. რაზეც გუნდის მწვრთნელები იასმინ მუიჯა და ბონდო გოცირიძე მუშაობენ. შეკრების მიმდინარეობაზე ხორვატიის მოქალაქე, მაგრამ ფეხბურთელობის პერიოდში ბოსნია-ჰერცეგოვინას ნაკრების წევრი, შემდეგ კი ფიზმომზადების სპეციალისტი, იასმინ მუიჯას საუბრობს.

**იასმინ მუიჯა:**

– როდესაც „დინამოში" მივედი, თავიდან-

გაგრძელება მე-10 გვერდზე



# ახალწვეულები დინამოზე — ტრადიციების გუნდია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ვე ვიცოდი რა ტრადიციის და ისტორიის კლუბთან მქონდა საქმე. აქ ჩამოსული კი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამაში. ყველა მწვრთნელი და ფეხბურთელი, რომელიც დინამოშია, ვალდებულია იყოს საუკეთესო, რადგან „დინამო" საქართველოში საუკეთესო კლუბია. გუნდში უკეთესობისკენ მიდის საქმეები. ბევრი ახალი ფეხბურთელი დავიმატეთ და მიზანი მათი სწრაფი ადაპტაციაა გუნდთან. ოდნავ ამაყიც ვარ მწვრთნელთა შტაბის მიერ ჩატარებული სამუშაოთი. როდესაც მოვედი კლუბში ფიზმომზადების დონე დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ არა ისეთი როგორიც აქ უნდა იყოს. მინდა აღვნიშნო ბონდო გოცირიძის წვლილიც, რომელიც დიდ სამუშაოს ატარებს. შეკრებაზე არ გაგვიმართლა მიკროტრავმებში, რომელიც შერგელაშვილს, ჩირგაძეს და პაპუნაშვილს აწუხებთ. ამ მომენტისთვის ცხადია კონდიციები არაა საუკეთესო, მაგრამ მთავარია ახლა ყველა ვარჯიში და საკონტროლო მატჩი მოსამზადებელ ეტაპზე მაქსიმალურად იყოს გამოყენებული იმისთვის, რომ ჩემპიონატში კახა გოგიჩაიშვილს ჰყავდეს ოპტიმალური და კარგად მომზადებული კონტინგენტი. შემიძლია აღვნიშნო, რომ შეკრებაზე საუკეთესო პირობებია სავარჯიშოდ, აღსადგენად, მოსამზადებლად და მოსასვენებლად. ძალიან კარგი სპარინგ მატჩები გვაქვს, სადაც ზუსტად დავინახავთ პრობლემებს. დარწმუნებული ვარ თბილისში დაბრუნებისას გუნდს გაცილებით მომატებული ექნება. ვფიქრობ ეხლა უფრო ძლიერი გუნდი გვყავს ვიდრე პირველ წრეში. ჩვენი მიზანია გუნდის ისეთ კონდიციებში მიყვანა, როგორიც ევროპულ კლუბებშია. ყველა ფეხბურთელზე ცალკე გვაქვს გაწერილი სამუშაო პროგრამა. ბედნიერი ვარ „დინამოში" ყოფნით, ჩვენი გუნდი ბოლომდე იხარჯება თავის საქმეში. ვცდილობთ დისციპლინის, თეორიული, ტაქტიკური და ტექნიკური უნარების პროგრესირებას. კლუბში აბსოლუტურად ყველაფერი კეთდება საუკეთესო შედეგის მისაღწევად. კლუბის პრეზიდენტი ყველაფერს აკეთებს ამისათვის. კლუბის ხელმძღვანელობა და სტაფი ყოველდღიურად დაუღალავადაა ჩართული სამუშაო პროცესში. ფეხბურთელებმა უნდა მოინდომონ და ბოლომდე დაიხარჯონ, რათა ჩვენი ერთგული გულშემატკივარი გავახაროთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## კალეიდოსკოპი

# ავსტრალიელმა ლეგოს კონსტრუქტორით პომპეი ააგო

ავსტრალიელმა რაინ მაკნაიტმა ლოგოს კონსტრუქტორისგან ძველი რომაული ქალაქი პომპეი ააგო, — იტყობინება „მეტრო".

მამაკაცმა, რომელსაც მეტსახელად დი ბრიკმენი შეარქვეს (ინგლისურად აგურს ნიშნავს), ლეგოსგან ქალაქის



მსხვილი მოდელის შექმნას 470 საათი მოანდომა (სამ კვირაზე ოდნავ მცირე დრო). აღსანიშნავია, რომ მას სიდნეის უნივერსიტეტის მუზეუმში გამოფენენ.

მოდელის შექმნას 190 ათას დეტალზე მეტი დასჭირდა. კონსულტაციებს მაკნაიტს ის სტუდენტები უწევდნენ, რომლებიც უძველესი რომის იმპერიის ისტორიის შესწავლით არიან დაკავებულები. აღსანიშნავია, რომ პომპეი აღდგენილია ჩვენი წელთაღრიცხვის 79 წლის მდგომარეობის მიხედვით. იმავე წელს 24 აგვისტოს, ვულკან ვეზუვის ამოფრქვევამ ქალაქი გაანადგურა, რომელშიც იმ მომენტისთვის დაახლოებით 20 ათასი ადამიანი ცხოვრობდა.

ეს მაკნაიტის პირველი ასეთი მასშტაბური ნამუშევარი არ არის. ადრე სიდნეის უნივერსიტეტმა მას ათენის აკროპოლისა და რომის კოლიზეუმის ძველი სახის შექმნა დაავალა, რომელიც ასევე ლოგოს კონსტრუქტორით განახორციელა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## სპორტი

# საქართველომ ჩერნოგორიას დამაჯერებლად მოუგო

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა წარმატებით დაიწყო თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობა.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა პირველივე მეტოქე გაანადგურა. ქართველების ოპონენტი საკალათბურთო ტრადიციებით განთქმული და ყველა ასაკში ძლიერი გუნდის მყოლი ჩერნოგორია იყო, თუმცა ჩვენმა ნაკრებმა დამაჯერებლად — 72:53 იმარჯვა.

საინტერესოა, რომ ჩვენებმა პირველი მეოთხედი 13:18 წააგეს და ამის შემდეგ მოახერხეს თამაშის დალაგება და მეტოქის დაჯაბვნა. მეორე ათწუთეულში ქართველები შეუჩერებელნი იყვნენ და აღნიშნული პერიოდი 20:11 მოიგეს. ჩერქეზიშვილის გუნდმა მესამე მეოთხედში სულაც შეარცხვინა ჩერნოგორიელები, როცა 10 წუთის მანძილზე მხოლოდ 3 ქულა ჩააგდებინა.

აღნიშნული პერიოდი ქართველებმა 20:3 მოიგეს და ბოლო მეოთხედის დაწყებამდე ანგარიში ყველაფერი გარკვეული იყო. საქართველო 53:32 იგებდა და არანაირი საფრთხე აღარ ემუქრებოდა. საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა გამარჯვებამდე იოლად მიიყვანა მატჩი და ტურნირი, რომელიც მონაწილეთა სიძლიერის გამო არაოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატად იწოდება, წარმატებით დაიწყო.

ჩვენს ნაკრებში 23 ქულითა და 18 მოხსნით საუკეთესო იყო გოგა ბითაძე. ტანმაღალ ქართველ ცენტრს ასევე 3 დაფარება და 2 პასი ჰქონდა და თამაში ისე ჩაამთავრა, ბურთი არ დაუკარგავს და მხოლოდ 1 ჯარიმა მიიღო. საქართველოს ნაკრების 3 წევრს — კოკა ფიფიას, ნიკა ჩეჩელაშვილს და ზაურ ჯანელიძეს 13-13 ქულა დაუგროვდათ.

გეტყვით, რომ ქალაქ ქონიას საერთაშორისო ტურნირში 12 გუნდი ასპარეზობს. „ა" ჯგუფში თავი აქვთ მოყრილი იტალიას, სერბეთს, ბოსნიას, გერმანიას, ჩინეთს და თურქეთს. საქართველო „ბ" ჯგუფშია რუსეთთან, ლატვიასთან, ლიტვასთან, ჩერნოგორიასთან და საფრანგეთთან ერთად. მონაწილეთა შემადგენლობიდან კარგად ჩანს, თუ რატომ ეძახიან თურქეთის აღნიშნულ საერთაშორისო ტურნირს მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატს. აქ ევროპის ყველა წამყვანი ქვეყნის ნაკრებია თავმოყრილი და პლუს დამატებულია უდიდესი საკალათბურთო პოტენციალის მქონე ჩინეთი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ცხიფუღლჯპლბ



1. სასწორის თეფში; 2. მედეა ჩახავას კინოროლი; 3. დამხმარე თეორემა; 4. სასმისი; 5. რასაც ყური ალიქვამს; 6. ნადავლი; 7. სანადირო თოფის წვრილი ტყვიები; 8. ჭამის სურვილი; 9. ზღვის ბრტყელი თევზი; 10. ზღვის წყალმარჩხი უბე; 11. ოფიცრის წოდებულება არმიაში; 12. ... კობზონი; 13. იაპონური ჭიდაობა; 14. მამრობითი სქესის ქათამი; 15. ბუნებრივი საღებავი; 16. ლენტი; 17. მდინარე, რომელშიც ქრისტე მოინათლა; 18. ციხესიმაგრე და საპყრობილე პარიზში (ძვ.); 19. სპორტული შეჯიბრების მსაჯი; 20. ... ფარულავა; 21. ხელოვნების დარგი; 22. სახელმწიფო აფრიკაში; 23. ჭამა ერთ ჯერობაზე; 24. ქურციკი; 25. ჰიგიენური დაწესებულება; 26. მსხვილი მახრჩობელა გველი; 27. ჩრდილოეთი; 28. სარტყმელი საკრავი; 29. სოფელი თელავის რაიონში; 30. პატარა სარწყავი არხი; 31. ფანი ...; 32. ციფრი; 33. გერმანული ავტომარკა; 34. ჰერას ქურუმი ქალი.

## ობყფ ყჯვტპიბ უფვჯმღტ.ყტ,ეაბ ჰპჯცღჯპლტ,ბც გფცე[ტ,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჰუმუსი; 2. კივი; 3. არბიტრაჟი; 4. ენდრო; 5. ლიფსიტა; 8. თუთუნი; 9. ბალახვანი; 12. ფესახი; 14. თაბახი; 16. იჯრა.

**თარაზულად:** 1. „ჰეინიკენი"; 6. კრიჟანგი; 7. მზითევი; 9. ბულიტი; 10. ხოტი; 11. „სუფრული"; 13. „თეთრა"; 15. თეზისი; 17. ჭიდაობა; 18. კაპელა; 19. ბრეხტი; 20. ბარიერი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. არწივი; 2. კილტი; 3. გრახტი; 4. ქორქია; 6. „ფარაონი"; 9. არაყი; 11. კურიოზი; 15. ლაფონტენი; 16. ბონუსი; 17. პიკადორი; 19. იმპულსი; 21. დოპინგი; 22. ირტიში.

**თარაზულად:** 5. ერისთავი; 7. ავსტრია; 8. დრაივი; 10. „არაბიკა"; 12. იგავი; 13. აბული; 14. ბაყალხანა; 18. ბეილი; 20. კორიდა; 23. ბრინჯი; 24. პაპი; 25. მოსადი; 26. შუნი; 27. ოგინსკი.

## კულტურა

# თბილისი კინოგადაღებების ქალაქად იქცევა

ეკა ირემაშვილი

„თბილისი, როგორც საერთაშორისო კინოგადაღების ადგილი" — ასე ეწოდება ახალ პროექტს, რომლის პრეზენტაციაც სასტუმრო „რედისონში" გაიმართა. პროექტი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ირაკლი ბერეკაშვილმა წარადგინა და მას დაესწრნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ქეთევან ბოჭორიშვილი, ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენლები, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ატაშე ოლივერ რაიზნერი, ქართველი კინოპროდიუსერები და ექსპერტები. პროექტი ხორციელდება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის მხარდაჭერით. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსიაც. პროექტის მთავარი მიზანია ამ მიმართულებით არსებული შესაძლებლობების შესწავლა და საერთაშორისო კინომწარმოებელი კომპანიების მოსაზიდად შესაბამისი კონცეფციის შემუშავება. თბილისს აქვს გამორჩეული და უნიკალური მდებარეობა, კულტურულ-ისტორიული ძეგლები და თანამედროვე ნაგებობები, ასევე ქალაქის მრავალფეროვანი და განსხვავებული ლანდშაფტი, რაც განაპირობებს მის მიმზიდველობას.

საერთაშორისო კინოწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, თავის მხრივ, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების შესაძლებლობებს ქმნის. აღნიშნული გულისხმობს ქალაქისა და ქვეყნისათვის დამატებითი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, ასტიმულირებს ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ასევე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქალაქის ბრენდინგსა და მისი ტურისტული პოტენციალის საერთაშორისო ბაზრებზე წარმოჩენას.

**ირაკლი ბერეკაშვილი, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი:**

— ამ პრეზენტაციის მიზანია, ექსპერტებთან ერთად გავიაროთ ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, მომავალში საერთო ღონისძიებების დაგეგმვის შედეგად თბილისი ვაქციოთ საერთაშორისო კინოწარმოებისთვის მიმზიდველ ადგილად. ეს მრავალმხრივ მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის. ეს ძალიან კარგი სტიმულატორია ზოგადად ეკონომიკური, სოციალური და კულტურული აქტივობის. ამასთან ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალაქის ბრენდინგი და მისი საერთაშორისო ასპარეზზე უკეთესი წარმოჩენა. ეს ორივე მიზანი დედაქალაქის მერიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ვეცდებით, რაც შეიძლება აქტიური როლი ვითამაშოთ ამ პროექტში და რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღოს როგორც დარგმა, ასევე მთლიანად ქალაქმა.

**ქეთევან ბოჭორიშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე:**

— უმნიშვნელოვანესია, რომ საქართველო გახდეს უცხოელი პროდიუსერების გადასაღები მოედანი, რადგან ამ შემთხვევაში მოხდება ტექნოლოგიების შემოდინება, კვალიფიკაციის ამაღლება, უცხოური კაპიტალის შემოდინება. ეკონომიკასთან ერთად ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას.

**გიორგი ხაბაშვილი, საქართველოს ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრის დირექტორის მოადგილე:**

— ძალიან მნიშვნელოვანია მერიის მხრიდან ეს ინიციატივა, რომ თბილისი გადაიქცეს კიდევ უფრო მეტად მიმზიდველ ქალაქად საერთაშორისო კინომწარმოებლებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ გატარდეს ღონისძიებები და შესაბამისი რეფორმები იმისათვის, რომ უფრო მარტივი და მიმზიდველი იყოს თბილისი ქართველი კინომწარმოებლებისთვის. ამ თვალსაზრისით საკმაოდ ბევრია გასაკეთებელი და ვთვლით, რომ საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობაც მისასალმებელია.

# სალოტბარო სკოლა ყვარელში გაიხსნა

ეკა ირემაშვილი

ხობის შემდეგ სალოტბარო სკოლა ყვარელში გაიხსნა, სადაც მოზარდები, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სპეციალური პროგრამით, უფასოდ შეისწავლიან ქართული ფოლკლორის თითოეულ დარგს. სკოლის დამთავრების შემდეგ კი წარჩინებული მოსწავლეები სწავლას გააგრძელებენ თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის უმაღლეს სასწავლებელში.

სპეციალურად ამ დღისთვის ყვარელში სტუმრად ჩავიდნენ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი დონაძე, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ანსამბლ „რუსთავის" ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი, ანსამბლ „რუსთავის" მთავარი ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე, ანსამბლ „ერისიონის" ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი, ფოლკლორის ცენტრის სპეციალისტები და კულტურის სფეროს წარმომადგენლები.

ყვარლის კულტურის სახლში გამართულ სადღესასწაულო ღონისძიებას ესწრებოდნენ ყვარლის საკრებულოს თავმჯდომარე ჯემალ შავერდაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. კონცერტზე ფოლკლორულმა ანსამბლმა „ხეურომ" ქართული ხალხური სიმღერები შეასრულა.

პროექტი ხორციელდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერითა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ეგიდით, რომლის თანახმადაც, საქართველოს ყველა რეგიონის მუნიციპალურ ცენტრსა და თვითმმართველ ქალაქში ეტაპობრივად გაიხსნება ფოლკლორის ცენტრის წარმომადგენლობები და სალოტბარო სკოლები. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს უნიკალური ქართული სიმღერის გადარჩენას, მოვლასა და პოპულარიზაციას.

## fcnhjghjuyjpb 2 თებერვლისთვის

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — არავის ენდოთ, მხოლოდ საკუთარ თავს დაუჯერეთ. **ტყუპები** — სახლში სიახლეა, ძვირფას საჩუქარს მოგართმევენ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ლომი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ და ფულიც გექნებათ. **ქალწული** — იმიჯის შეცვლა ნამდვილად ღირს, იფიქრეთ ამაზე. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, ამდენი მუშაობა არ გარგებთ. **ღრიანკალი** — პრობლემას ერთ დღეში მოაგვარებთ. **მშვილდოსანი** — ახალი პროექტი საინტერესო აღმოჩნდება. **თხის რქა** — ყველა საქმეს ბოლომდე მიიყვანთ, უფროსობა დაგაჯილდოვებთ. **მერწყული** — ნურავის დაელოდებით, საქმე თქვენ მოაგვარეთ. **თევზები** — უარი არ თქვათ პასუხისმგებლობაზე, საქმეს ნუ გაექცევით.

უბცეპღტ,ს ,ტღყბტპ ღქტც=

# ფრიდონ სულაბერიძე საუკუნის მოცეკვავეა

ეკა ირემაშვილი

ცნობილ ქართველ მოცეკვავეს, ანსამბლ „რუსთავის“ ქორეოგრაფს ფრიდონ სულაბერიძეს „საუკუნის მოცეკვავის“ წოდება მიანიჭეს. წოდება მას ფონდმა „ქართული გალობა“ უშუალოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გადაეცა.

ფრიდონ სულაბერიძეს, რომელიც ცეკვა „ქართულის“ უბადლო შემსრულებლად არის მიჩნეული, ეს საპატიო ჯილდო მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა და თანამოაზრეებმა მიულოცეს.

**გიორგი დონაძე, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელი:**

— ფრიდონ სულაბერიძე ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია და ძალიან გვეხმარება. მისგან ბევრ რამეს ვსწავლობთ. ის მრავალი ჯილდოსა და ტიტულის მფლობელია, მაგრამ ყველაზე დიდი მათ შორის ხალხის სიყვარულის მოპოვებაა, რომელსაც შენი ერის სამსახურით, ქვეყნისათვის თავგანწირული შრომით შეიძლება მიაღწიო.

**თენგიზ უთმელიძე, სუხიშვილების ყოფილი მოცეკვავე:**

— ფრიდონ სულაბერიძის ცეკვა ღმერთისგან ნაბოძები საჩუქარია. მისი ცეკვა ქართული სულიდან ამოღებული მოძრაობა და ქართული ქორეოგრაფიის დღესასწაულია. ფრიდონი დღესაც სიამაყითა და დიდი სითბოთი იხსენებს, რომ პირველი ნაბიჯები ქართულ ცეკვაში მას დედამ გადაადგმევინა და ალალად დაულოცა ის ლაჟვარდოვანი გზა, რომელიც შემდეგ სახელოვნად და სრული ტრიუმფის გაიარა „ნახალოვკიდან“ „ლა სკალამდე.“

**დიმიტრი ჯაიანი, მსახიობი:**

— მე რომ შემეძლოს, ფრიდონ სულაბერიძის პორტრეტიდან ძეგლს დავამზადებდი. ფრიდონისეულ ბაღდადურის ძეგლს თბილისის ძველ უბანში დავდგამდი. „აჭარულს“ აჭარაში, ხოლო მის უკვდავ ქართულს ამერ-იმერის საზღვარზე გამოვუნახავდი შესაფერის ადგილს.

**მაყვალა გონაშვილი, პოეტი:**

— საქართველოში, სადაც არაერთი გენიალური ხელოვანია, ძნელია გამოგარჩიონ და „საუკუნის მოცეკვავის“ ტიტული მოგანიჭონ. ამისათვის ალბათ ბედის რჩეულიც უნდა იყო და ხალხის გულთამპყრობელიც. დიდ ნიჭსა და შრომისმოყვარეობასთან ერთად დედამ ცხოვრების გზაზე ლოცვასავით უნდა გამოგატანოს ცეკვის ჯადო-თილისმა, ისე, როგორც ლეგენდარულ მოცეკვავეს ფრილდონ სულაბერიძეს. ვისაც მის მიერ შესრულებული ქართული ცეკვა უნახავს, უნებლიეთ გრიგოლ რობაქიძის სიტყვები გაახსენდება, „ქართული



ბალეტი არის ბალეტი ჯიშისა. მას სხვა ვერავინ იცეკვებს ქართველების გარდა, რასსა არ ეყოფა.“

**ფრიდონ სულაბერიძემ ყველას მადლობა გადაუხადა:**

— მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ჩემთვის ამ წოდების მიღება ყველაფერია. ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ასეთი ტიტულოვანი გავხდებოდი, ეს ჩემი ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის დამსახურებაა. „საუკუნის მოცეკვავის“ ტიტული მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით გადმომეცა. ფონდმა „ქართული გალობა“ ჩათვალა, რომ ეს ჯილდო ჩემთვის უნდა გადმოეცათ. იქ მუშაობს სპეციალური კომისია, რომელიც წყვეტს ვის მიანიჭონ ეს ჯილდო. შემდეგ კომისია მიდის პატრიარქთან, განიხილავენ და ილია მეორე აწერს ამ სიგელს ხელს, რომელიც მე გადმომეცა. პატრიარქი რომ დაგლოცავს და ასეთ ჯილდოს მოგანიჭებს, ეს ხომ უდიდესი საჩუქარია? თან მეშინია, რამე ხომ არ მემართება, ამდენ რამეს ერთად რომ მაძლევენ-მეთქი? მთელი ცხოვრება ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურები, ყოველდღე რეპეტიციაზე მივდივარ და ამით მეორდება ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ცხოვრება. მათ თავს არ ვადარებ, მაგრამ ყველაფერი მათგან ვისწავლე, მათმა სკოლამ გამხადა ასეთი.

# ექვთიმე ღმსარებლისადმი მიძღვნილი კონცერტი კონსერვატორიაში ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

2 თებერვალს წმიდა ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) ხსენების დღეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მისი ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართება.

ისტორიკოსი ლუარსაბ ტოგონიძე გამართავს სემინარს წმიდა ექვთიმეს მოღვაწეობის შესახებ, რომლის შემდეგაც გაიმართება გალობის საღამო კონსერვატორიის მცირე დარბაზში.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მგალობელთა გუნდები გურიიდან „შემოქმედი“ და გორდელაძეების ოჯახი, ასევე „აღსავალი“, „იალონი“, „ნადი“, გიორგი მთაწმინდელის გალობის სკოლის სტუდენტები. კონცერტს წარუძღვება ისტორიკოსი ლუარსაბ ტოგონიძე.

წარმოდგენილი იქნება წმიდა ექვთიმე აღმსარებლის მოღვაწეობის ამსახველი ვიზუალური მასალა. მის სახელს უკავშირდება ქართული საეკლესიო საგალობლების გადარჩენა (გელათის სკოლა).

ექვთიმე აღმსარებლის სახელთან არის დაკავშირებული თბილისში უფასო „საღმრთო წიგნთ-საკითხავის“ დაარსება, რომლის მიზანი მოსახლეობაში მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცება და ძველი ქართული საეკლესიო გალობის შესწავლა და გავრცელება იყო. ძველ ქართულ საეკლესიო გალობას სწავლობდნენ ცნობილი მგალობლის, თავად მელქისედეკ ნაკაშიძისაგან, რომელიც ათონის მთის ქართველთა სავანეში იყო განსწავლული. მათ ილია ჭავჭავაძის დახმარებით შეიძინეს სტამბა და ინტენსიურად ბეჭდავდნენ საღმრთო წიგნებს და ავრცელებდნენ მათ. 25 წლის განმავლობაში მათ დასტამბეს 4.000-მდე სასულიერო შინაარსის სხვადასხვა გამოცემა. მაქსიმე აღმსარებელს და ევსტატე კერესელიძეს ცნობილმა მუსიკოსმა ფილიმონ ქორიძემ ევროპული სანოტო დამწერლობა შეასწავლა. ევსტატეს ლამაზი კალიგრაფია ჰქონდა, ამიტომ ფილიმონ ქორიძემ მას დაავალა საგალობელთა სანოტო ხელნაწერების გადათეთრება. მამა ექვთიმემ დაბრკოლებებით აღსავსე ცხოვრებით იცხოვრა, თუმცა ის თავის საქმეს მაინც ერთგულად ემსახურებოდა. მამა ექვთიმემ სახელმწიფო მუზეუმს გადასცა 34 სანოტო კრებული, რომელიც 5.081 საგალობლისა და რამდენიმე სასულიერო შინაარსის ხელნაწერისგან შედგებოდა. ყველა ეს საგალობელი ამჟამად დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

# ორი ვარსკვლავის“ მეორე სეზონი იწყება

ტელეკომპანია „იმედზე“ მუსიკალური შოუს „ორი ვარსკვლავი“ მეორე სეზონი იწყება. 3 თებერვლიდან პროექტის მონაწილეები მაყურებლისთვის იმღერებენ და ფინალში მოსახვედრად და გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

„ორი ვარსკვლავის“ წამყვანი ტრადიციულად დუტა სხირტლაძე იქნება, მონაწილეები კი — ცნობილი მომღერლები და საზოგადოებისთვის სხვადასხვა სფეროში ცნობილი და წარმატებული ადამიანები.

ტელეკომპანია „იმედმა“ უკვე გაავრცელა პროექტის ვიდეორგოლი, რომელშიც მისი მონაწილეები არიან გადაღებული. „ორი ვარსკვლავის“ მეორე სეზონში გამარჯვებისთვის იბრძოლებენ გოდერძი შარაშია და ელენე ფოჩხუა, ილო ბეროშვილი და ნუცა ბუზალაძე, ეკა დოლიძე და მერაბ სანოძე, მირიან ჯეჯელავა და ნინი ცნობილაძე, დაჩი კოპაძე და ანანო მჟავია, მანიკა ასათიანი და ნიკა ლაზარიაშვილი, ნანა ნებიერიძე და გიორგი მახარაშვილი, როლანდ ოქროპირიძე და მარიკო ებრალიძე, ირაკლი ჭელიშვილი და მაგდა ვასაძე, ნათია ფარჯანაძე და ლუკა ზაქარიაძე, ხათუნა ჟორდანია და გიო ხუციშვილი, თეა დარჩია და ლევან მასპინძელაშვილი. ჯერჯერობით უცნობია ვინ იქნება მუსიკალური შოუს ჟიური.

„ორი ვარსკვლავის“ პირველ სეზონს მაყურებელი საკმაოდ სკეპტიკურად შეხვდა და უარყოფითი მოსაზრებებიც არ დაიშურა. კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს მასში მონაწილე მომღერლები, ცნობილი ადამიანები და პროექტის პროდიუსერი ნოე სულაბერიძეც, თუმცა თანდათან მაყურებელი შოუს მიეჩვია და მონაწილეებს ფანებიც გამოუჩნდათ. მუსიკალური პროექტის პირველი სეზონი მოდელმა ირინა ონაშვილმა და მისმა მეწყვილემ მომღერალმა გიორგი მახარაშვილმა მოიგეს. ირინას საჩუქრად „ორი ვარსკვლავისგან“ ავტომობილი გადაეცა.

ეკა ირემაშვილი

# ევგენი გრიშკოვეცი თბილისში სპექტაკლს გამართავს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

„ჩემი წინა სპექტალის „დამშვიდობება ქაღალდთან“ პრემიერას და ახალ სპექტაკლს „გულის ჩურჩული“ სამ-ნახევარი წელი აშორებს. ამ პერიოდში ძალიან ზუსტად და დაფიქრებით ვარჩევდი სიტყვებსა და მოსაზრებებს. სპექტაკლის დადგმის იდეა ხუთი წლის წინ დამებადა. ეს ჩემი ყველაზე უცნაური ნამუშევარია, რადგან სცენაზე კონკრეტული ადამიანი კი არ დგას, არამედ პერსონაჟი, რომელსაც მე განვასახიერებ, ადამიანის გული, რომელიც შეკითხვებს უსვამს თავად ადამიანს,“ — აცხადებს იური გრიშკოვეცი.

მას არ სურს ტელევიზიაში მუშაობა და არ ხარჯავს ბიუჯეტის თანხებს. მას დიდი ტირაჟით გამოსცემენ და იგი ფიქრობს, რომ მხოლოდ უვიცი გრაფომანები წერენ წიგნებს, რომლებიც შემდგომ არ იბეჭდება. მუშაობა ურჩევნია ახალგაზრდებთან, რომლებიც „საბჭოეთს“ და მის სამუშაოსთან მიდგომის სტილს არ გაურყვნია. მას აქვს მოქალაქეობრივი პოზიცია, მაგრამ პოლიტიკისაგან შორს არის. არ უყვარს ინტერნეტი და თვლის, რომ დღეს ქვეყანა გარყვნილებამ წაბილწა. თავის თავზე კი უბრალოდ ამბობს:

„მე თანამედროვე მწერალი ვარ. უბრალოდ, მე დღეს ერთადერთი სოცრეალისტი მწერალი ვარ!“

იური გრიშკოვეცის მონოსპექტაკლზე დასასწრები ბილეთის ფასი 16 ლარია.

ეკა ირემაშვილი

# თბილისში უკრაინული კინოს დღეები ტარდება

თბილისში უკრაინული კინოს დღეები იმართება, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი ანა პალენჩუკია. უკრაინული კინოს დღეები კინოთეატრ რუსთაველში ოლეს სანინის „მეგზურით“ გაიხსნა. კინოჩვენებები უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით ფეესბეს მიერ დაპატიმრებული უკრაინელი რეჟისორის ოლეგ სენცოვის მხარდასაჭერად იმართება.

უკრაინული კინოს დღეები საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით თბილისში პირველად ეწყობა. სოლიდარობასთან ერთად, ამ დღეების მიზანია, ფართო საზოგადოებამ გაიცნოს თანამედროვე უკრაინული კინემატოგრაფი.

ოლეგ სენცოვი, უკრაინელი რეჟისორი, მეიდნის აქციების აქტივისტი იყო და უკრაინის ერთიანობისთვის იღვწოდა, ეხმარებოდა უკრაინელ მეომრებს ყირიმის ანექსიის დროს. ის რუსეთის უსაფრთხოების ფედერალურმა სამსახურმა 2014 წლის მაისში დააკავა და დღეს მოსკოვში ლეფორტოვოს ციხის პატიმარია. სენცოვს 20- წლიანი პატიმრობა ემუქრება. სენცოვის გასათავისუფლებლად იბრძვის არა მხოლოდ უკრაინული კინოსექტორი, არამედ მთელი მსოფლიოს კინემატოგრაფისტები. შეიქმნა არაერთი პეტიცია რეჟისორის გათავისუფლების მოთხოვნით, მათ შორის საქართველოშიც. სენცოვის მხარდასაჭერი, უკრაინული კინოს დღეები უკრაინის 10 ქალაქში უკვე ჩატარდა. ახლა უკვე ქართველ მაყურებელს ექნება საშუალება, მხარდაჭერა გამოუცხადოს პოლიტპატიმარ რეჟისორს და გაეცნოს თანამედროვე უკრაინულ ფილმებს. მათ შორისაა, ოლეგ სენცოვის დებიუტი „მოთამაშე“, უკრაინიდან „ოსკარზე“ წარდგენილ ოლეს სანინის ფილმი „მეგზური“, ელენა ფეტისოვას და სერჟ აველიკიანის ქართულ-უკრაინულ კოპროდუქცია „ფარაჯანოვი“, ასევე დოკუმენტური ფილმების კრებული „ბაბილონი №13“, „იარაღზე ძლიერი“, რომელიც მაიდანის მოვლენებსა და უკრაინის აღმოსავლეთში მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაციებს ასახავს, — განაცხადა უკრაინული კინოს დღეების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ანა პალენჩუკმა.

უკრაინული ფილმების ჩვენებები კინოსახლ „ქოლგაში“ პირველ თებერვლამდე მოეწყობა.

ეკა ირემაშვილი

# ახმეტელის თეატრში პრემიერაა

პირველ თებერვალს ახმეტელის თეატრში სპექტაკლის პრემიერა გაიმართა. ცნობილი ჩეხი მწერლის კარელ ჩაპეკის პიესა „დედა“ ახალგაზრდა რეჟისორმა გიორგი სავანელმა ახმეტელის თეატრის დასთან ერთად დადგა. ამ ეტაპზე უწყვეტი რეპეტიციები და ბოლო დეტალების დაზუსტება მიმდინარეობს. სპექტაკლი ქალაქ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

XX საუკუნის პროზაიკოსი კარელ ჩაპეკი ფანტასტიკური ჟანრის პიესებს წერდა. აღსანიშნავია, რომ სიტყვა „რობოტის“ ავტორობას სწორედ კარელ ჩაპეკს მიაწერენ. ომი, ძალადობა, ბრძოლა სიკეთისა და სამართლიანობისთვის, ფსიქოლოგიურ დრამაში ჩაპეკის პერსონაჟები მშვიდობისთვის იბრძვიან, ტრაგიკულია დედის ბედი, რომელიც თავის უკანასკნელ იმედსა და უკვე ერთადერთ შვილს, 16 წლის ტონის, საკუთარი ნებით უშვებს ფრონტის წინა ხაზზე. პატრიოტიზმი და პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი ქვეყნისა და ერის წინაშე, მარადიული ბრძოლა მშვიდობისთვის და ადამიანები, რომლებიც მზად არიან ამ ბრძოლაში თავგანწირვისთვის.

სპექტაკლში დედის როლს მზია ტალიაშვილი ასრულებს. მასთან ერთად წარმოდგენაში ასევე დაკავებული არიან მამუკა მაზავრიშვილი, ბექნუ ქაფიანიძე, სოფია სებისკვერაძე, გიორგი ცხადაძე და გიგი მიგრიაული. სპექტაკლის მხატვარი მარიკა კვაჭაძეა.

ეკა ირემაშვილი

# უსინათლოთა თეატრი აღდგენილია

უსინათლოების თეატრი ხანმოკლე პაუზის შემდეგ, კვლავ აღდგენილია. თეატრის მსახიობებმა პანტომიმის თეატრში მათ მიერ დადგმული სპექტაკლი წარმოადგინეს. მსახიობებმა მაყურებლის წინაშე გამოიტანეს სპექტაკლი, რომელიც ნოდარ დუმბაძის ხსოვნას მიუძღვნეს და მისი ნაწარმოებები „ნუ გაიღვიძებ“, „კუკარაჩა“ და „მე ვხედავ მზეს“ გააერთიანეს.

ღონისძიება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა, სპექტაკლს მინისტრი დავით ყიფიანი და საპატიო სტუმრები დაესწრნენ. სტუმართა შორის იყო ნოდარ დუმბაძის შვილი ქეთი დუმბაძეც.

მისი თქმით, ეს სპექტაკლი ორმაგად ემოციური აღმოჩნდა, რადგან წარმოდგენა მამის ხსოვნას მიეძღვნა და მასში ის ნაწარმოებები გაერთიანდა, რომელიც ყველაზე გამორჩეულია.

„ორმაგად სასიხარულო და ემოციური დღეა ჩემთვის, რადგან უსინათლო ადამიანებმაც გაითავისეს ის სათქმელი, არც მამას ჰქონდა. არაჩვეულებრივი სპექტაკლი იყო, რაც მთავარია, ეს ადამიანებიც ხატიას მსგავსად ხედავენ მზეს,“ — განაცხადა ქეთი დუმბაძემ.

მისივე თქმით, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები ქართულ თეატრში აქტიურად იდგმება. მისი მოთხრობები თუ რომანები არაერთმა რეჟისორმა გააცოცხლა სხვადასხვა თეატრის სცენაზე, მაგრამ უსინათლოთა მიერ დადგმული „მე ვხედავ მზეს“ მაინც ყველაზე ორიგინალური და შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის დავით ყიფიანის განცხადებით, მისი წყება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ უსინათლოთა თეატრმა შესაფერისად იფუნქციონიროს და არსებობისთვის პრობლემები აღარ შეექმნას.

ეკა ირემაშვილი

## TV პროგრამა

ორშაბათი
2 თებერვალი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 02.00** "პირადი ექიმი" **11.00, 02.40** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"კრიმინალური სეზონი" 14.20** "პოპ-კულტურა" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი" 17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** "არენა" **23.30** მხ/ფ **"იცეკვე მასთან" 01.30** "პოპ-კულტურა"

**08.00** დ/ფ "საშობაო ნათურების შემოსევა: ევროპა" **09.00** მხ/ფ **"ტყუპები" 11.00** დ/ფ "კოდის კონცხი" **12.00** მხ/ფ **"ეს საშინელი სიღარიბე" 14.00** "ეპიცენტრი" **15.00, 17.00, 21.00, 22.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია" 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "გამომძიებელი რეპორტიორი" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.45** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული" 07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45, 03.40** ქრონიკა **10.05** სერ. **"უდანაშაულო" 11.20** სერ. **"ივნისის ღამე" 1** სერ. **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"მენეკშე და ჰალილი" 17.35** სერ. "ბოშა ქალი" **18.45, 19.03** სერ. **"დაკარგული1** სერ. **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი" 22.00** იუმორინა **00.00** მხ/ფ **"დომ ჰემინგუეი"** (ლ.ფრანცონი) **02.00** მხ/ფ **"მომაკვდინებელი სიცხე"**

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები" 18.45** სერ. **"სტამბოლის ცა" 19.45** სერ. **"ქარადაი" 22.00** მარაო **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "ველური ბუნება" **06.50** მხ/ფ **"პირველი მერცხალი" 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** საკვირაო სახარების განმარტება **10.45** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"დღეს ღამე უთენებია" 13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.05** ტელეზღაპარი **15.20** სპექტაკლი -**"ჩემი პატარა ქალაქი" 18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"არასერიოზული კატი" 20.40** ძილი ნებისა **21.30** პატერიკი **21.35** ღვთის სახლი **21.50** ამბიონი **22.25** დ/ფ "არტერია" ძამას ხეობა შმ ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ქართული სულის თავშესაფარი ლონდონში" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 12.00, 15.00, 18.00, 2.00**, "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"დრაკონებზე მონადირენი" 7.55** "საქმიანი დილა" **9.40, 12.30** "ბიზნეს კონტაქტი" **10.00 სერიალი "ჩემი შვილები" 13.35 სერიალი "სხვისი სხეული" 15.35** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში" **16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია 17.35** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **18.45, 22.00 სერიალი "დიდებული საუკუნე" 21.00** "მაესტროს ცხრიანი" **0.00,** მხ/ფ **"უდანაშაულო" 2.30** "ბიზნეს კონტაქტი" **3.30** მხ/ფ **"მდინარის შემობრუნება"**

გჰჯუჰფგტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ვბყაჯჰფდჰბც4 ყტ,ფჰსდბბ

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 თებერვალი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.0557 | ევრო — 2.3342 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1008 | 100 რუსული რუბლი — 2.9087 |

## ამინდის პროგნოზი 2 თებერვლისთვის






## კალეიდოსკოპი

### ინვალიდმა გოგონამ რომანი ფეხით დაწერა

ჩინელმა გოგონამ ხუ ხუეიიუანმა, რომელიც ცერებრალური დამბლით იტანჯება, წიგნი დაწერა, იტყობინება დი დეილი მეილი.

21 წლის გოგონა, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად უმოძრაოდაა, ნოუთბუქში რომანს მარცხენა ფეხით ბეჭდავდა. წიგნი მოიცავს დაახლოებით 60 ათას სიტყვას. გოგონა ფეხით წუთში კლავიატურაზე 20-დან 30 სიტყვამდე ბეჭდავს.



გოგონას მშობლებმა, რომლებიც პროვინცია ანხოიში ცხოვრობენ, განაცხადეს, რომ ბავშვობაში ის სკოლაში სიარულს ვერ ახერხებდა, მაგრამ წერა-კითხვას ტელევიზორში სუბტიტრების დახმარებით სწავლობდა. როდესაც გოგონა დაიბადა, ექიმები ამტკიცებდნენ, რომ ის ათ დღესაც კი ვერ იცოცხლებდა.

ადგილობრივი ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში ხუ ხუეიიუანმა განაცხადა, რომ ცდილობს ყოველთვის ყურადღებით იყოს, ხოლო ინვალიდობამ მას მოთმინება ასწავლა.

— მახარებს ის ფაქტი, რომ წერისა და სხვადასხვა საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობის საშუალება მაქვს, — აღნიშნა გოგონამ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



***

მეგობარი მეგობარს ეკითხება:

— სამართლიანობის გჯერა?

— მჯერა, მაგრამ არ ვენდობი.

***

სამსახურში მისაღებად მისულ მამაკაცს დაწესებულების ხელმძღვანელი ეკითხება:

— ასე, გადავხედოთ თქვენს ანკეტას... 5 წელი ოფიციალურად არ გიმუშავიათ. როგორც ჩანს, კარგ წინადადებას ელოდით და ამ ხნის მანძილზე შემოთავაზებები არ გქონიათ?

— როგორ არა, უამრავი წინადადება მქონდა!

— მართლა?! მაგალითად, ერთი მაინც დამისახელეთ!

— წავიდეთ, ,,პახმელიაზე“ გამოვიდეთ!

***

კახელი მიდის, მხარზე თოფი აქვს გადაკიდებული, ხელში კი პატარა ყუთი უჭირავს. გზად მეგობარი შეხვდება და ეკითხება:

— საით გაგიწევია?

— სიდედრთან მივდივარ, დაბადების დღე აქვს და საყურეები უნდა ვაჩუქო.

— კი მაგრამ, თოფი რაღად გინდა?

— ყურები აქვს გასახვრეტი!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. ყარყატების ოჯახის ფრინველი; 7. ჭადრაკის პარტიის ბოლო სტადია; 8. ერთგვარი ძეხვი; 10. ხელის მტევნები, ჭურჭლის ფორმით მოხრილი; 11. მილიონერთა შვილების მოტაცება ფულის გამოძალვის მიზნით; 13. ქუჩის სანათი; 16. ქალაქი შვეიცარიაში; 19. სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი მეთაური; 20. ყვავილების წნული.

**შვეულად:** 1. კლავესინის კლავიატურა; 2. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი; 3. სიმსივნეების მკურნალი; 4. დაგირავებული უძრავი ქონება; 5. აზოტმჟავას მარილები; 9. მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული; 12. ნავთობის გამოხდის თხევადი პროდუქტი; 14. საგნის მონახაზი; 15. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 17. სასწავლო დაწესებულება; 18. დიდი ზომის ანტილოპა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




## ჯანლუკა მარჩანო საქართველოდან წავიდა

ეკა ირემაშვილი



იტალიელი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო საქართველოდან წავიდა. მან კუთვნილი ბარგი უკვე ჩაალაგა და თბილისიდან ლონდონში ჩავიდა. მაესტრო 5 წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრთან და არაერთი კონცერტიც გამართა.

ინფორმაცია ჯანლუკა მარჩანოს საქართველოდან წასვლის თაობაზე საოპერო დასის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გოჩა დათუბანმა გაავრცელა:

„მე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობარს, კაცს, ვაჟკაცს და ადამიანს და მერე დირიჟორს, რომელმაც დიდი შრომა გასწია 5 წლის განმავლობაში ჩვენს თეატრში, იმისთვის რომ იტალიური სურნელი მდგარიყო როგორც მინიმუმ იტალიური რეპერტუარის შესრულებისას... სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო, ჯანლუკა მარჩანო ცოტა ხნით გვტოვებს. მიზეზებს ყველა მალე გაიგებს, უბრალოდ ცოტა დროა საჭირო. მადლობა ჯანლუკა, ყველაფრისთვის, იმედია მალე დაბრუნდები და არაერთხელ მოგვიწევს გარჯა სცენაზე საქართველოში, იმიტომ რომ შენ აქ უყვარხარ ყველას, ვისაც ნამდვილი მუსიკა უყვარს და ესმის. მინდა იცოდე, რომ ვინც შენ გაიძულა გადაგედგა ეს ნაბიჯი, თვითონ მოგყვება უკან, უბრალოდ ერთი განსხვავებით, შენ დაბრუნდები, ის ვერა. ვერასდროს! შენთან ერთად მუშაობა დიდი სკოლა და პატივი იყო ჩემთვის.“

## ევგენი გრიშკოვეცი თბილისში სპექტაკლს გამართავს



დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი და მუსიკოსი ევგენი გრიშკოვეცი თბილისში ჩამოდის. ხელოვანი 2 თებერვალს მარჯანიშვილის თეატრის სარდაფში შეხვდება მაყურებელს და წარუდგენს მონოსპექტაკლს „გულის ჩურჩული“.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# 24 თებერვლიდან!

## ქართული დეტექტივის მე-9 ტომი

## ავთანდილ ბუხრაშვილი

# მყუდრო აგარაკის საიდუმლოება

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა პირველი 8 ტომის შეძენა




27 იანვრიდან გაიყიდება
ტომი 1
**მგლის ბილიკი**

30 იანვრიდან — ტომი 2
**შავი ვარდი**

3 თებერვლიდან — ტომი 3
**საზღაური**

6 თებერვლიდან — ტომი 4
**საბედისწერო გასროლა**

10 თებერვლიდან — ტომი 5
**ქურდები და არიფები**

13 თებერვლიდან
ტომი 6
**ვინ მოკლა ინსპექტორი, წიგნი 1**

17 თებერვლიდან
ტომი 7
**ვინ მოკლა ინსპექტორი. წიგნი 2**

20 თებერვლიდან
ტომი 8
**დანაშაული აღარ მოხდება**


